- D05.1 სადინარშიდა carcinoma in situ
D05.7 სარძევე ჯირკვლის სხვა carcinoma in situ
D05.9 სარძევე ჯირკვლის carcinoma in situ, დაუზუსტებელი
- D06 საშვილოსნოს ყელის carcinoma in situ
D06.0 საშვილოსნოს ყელის არხის ლორწოვანი გარსის (ენდოცერვიქსი) carcinoma in situ
D06.1 საშვილოსნოს ყელის საშოს ნაწილის (ექტოცერვიქსი) carcinoma in situ
D06.7 საშვილოსნოს ყელის სხვა ნაწილების carcinoma in situ
- D06.9 საშვილოსნოს ყელის, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის, carcinoma in situ
D07 სასქესო ორგანოების სხვა და დაუზუსტებელი carcinoma in situ
- D07.0 ენდომეტრიუმის carcinoma in situ
D07.1 გარეთა სასქესო ორგანოების (ვულვა) carcinoma in situ
- D07.2 საშოს carcinoma in situ
D07.3 ქალის სხვა და დაუზუსტებელი სასქესო ორგანოების carcinoma in situ
D07.4 სასქესო ასოს carcinoma in situ
D07.5 პროსტატის (წინამდებარე ჯირკვალი) carcinoma in situ
- D07.6 მამაკაცის სხვა და დაუზუსტებელი სასქესო ორგანოების carcinoma in situ
D09 სხვა და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის carcinoma in situ
- D09.0 შარდის ბუშტის carcinoma in situ
D09.1 სხვა და დაუზუსტებელი საშარდე ორგანოების carcinoma in situ
- D09.2 თვალის carcinoma in situ
D09.3 ფარისებრი და სხვა ენდოკრინული ჯირკვლების carcinoma in situ
D09.7 სხვა და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის carcinoma in situ
- D09.9 carcinoma in situ, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის
D10 პირის ღრუს და ხახის კეთილთვისებიანი სიმსივნე
D10.0 ტუჩის კეთილთვისებიანი სიმსივნე
D10.1 ენის კეთილთვისებიანი სიმსივნე
D10.2 პირის ღრუს ფსკერის კეთილთვისებიანი სიმსივნე
D10.3 პირის ღრუს სხვა და დაუზუსტებელი ნაწილების კეთილთვისებიანი სიმსივნე
D10.4 ნუშურების კეთილთვისებიანი სიმსივნე
D10.5 პირხახის სხვა ნაწილების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D10.6 ცხვირ-ხახა
D10.7 ხორხახის კეთილთვისებიანი სიმსივნე
D10.9 ხახის კეთილთვისებიანი სიმსივნე, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის

- D11 დიდი სანერწყვე ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D11.0 ყბაყურა ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D11.7 სხვა დიდი სანერწყვე ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D11.9 დიდი სანერწყვე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე, დაუზუსტებელი
- D12 კოლინჯის, სწორი ნაწლავის, ანუსისა და ანალური არხის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.0 ბრმა ნაწლავის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.1 ჭიანწლავის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.2 ასწვრივი კოლინჯის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.3 განივი კოლინჯის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.4 დასწვრივი კოლინჯის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.5 სიგმოიდური კოლინჯის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.6 კოლინჯის დაუზუსტებელი უბნის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.7 რექტულ-სიგმური საზღვრის (შეერთება) კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.8 სწორი ნაწლავის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D12.9 ანუსი და ანალური არხის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13 საჭმლის მომნელებელი სხვა და დაუზუსტებელი ორგანოების ნაწილების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13.0 საყლაპავი მილის დაუზუსტებელი ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13.1 კუჭის დაუზუსტებელი ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13.2 თორმეტგოჯა ნაწლავის დაუზუსტებელი ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13.3 წვრილი ნაწლავის სხვა და დაუზუსტებელი მონაკვეთების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13.4 ღვიძლის დაუზუსტებელი ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13.5 ღვიძლგარეთა სანადვლე გზების დაუზუსტებელი ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13.6 პანკრეასის დაუზუსტებელი ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D13.7 პანკრეასის კუნძულოვანი უჯრედები
- D13.9 საჭმლის მომნელებელი სისტემის არაზუსტად განსაზღვრული ლოკალიზაციის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D14 შუა ყურისა და სასუნთქი სისტემის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D14.0 შუა ყურის, ცხვირის ღრუს და დანამატი წიაღების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D14.1 ხორხის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D14.2 ტრაქეის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D14.3 ბრონქის და ფილტვის კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D14.4 სასუნთქი სისტემის, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის, კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D15 გულმკერდის ღრუს, სხვა და დაუზუსტებელი ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D15.0 თიმუსის (მკერდუკანა ჯირკვალი) კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D15.1 გულის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D15.2 შუასაყარის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D15.7 გულმკერდის სხვა დაუზუსტებული ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D15.9 გულმკერდის დაუზუსტებელი ორგანოების, კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16 ძვლისა და სასახსრე ხრტილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.0 ბეჭის და ზედა კიდურის ლულოვანი ძვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.1 ზედა კიდურის მოკლე ძვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.2 ქვედა კიდურის ლულოვანი ძვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.3 ქვედა კიდურის მოკლე ძვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.4 თავის ქალისა და სახის ძვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.5 ქვედა ყბის ძვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.6 ხერხემლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.7 ნეკნების, მკერდის ძვლის და ლავიწის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.8 მენჯის ძვლების და გავა-კუდუსუნის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D16.9 ძვალი და სასახსრე ხრტილი, დაუზუსტებელი
- D17 ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D17.0 თავის, სახისა და კისრის კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D17.1 ტორსის კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D17.2 კიდურების კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D17.3 სხვა და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D17.4 გულმკერდის ღრუს ორგანოების ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D17.5 მუცლის ღრუს ორგანოების ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D17.6 სათესლე ბაგირაკის ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D17.7 ცხიმოვანი ქსოვილის სხვა ლოკალიზაციის კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D17.9 ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე,
დაუზუსტებელი ლოკალიზაციის
- D18 ჰემანგიომა და ლიმფანგიომა, ნებისმიერი ლოკალიზაციის
- D18.0 ჰემანგიომა, ნებისმიერი ლოკალიზაციის
- D18.1 ლიმფანგიომა, ნებისმიერი ლოკალიზაციის
- D19 მეზოთელური ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D19.0 პლევრის მეზოთელური ქსოვილი
- D19.1 პერიტონეუმის მეზოთელური ქსოვილი
- D19.7 სხვა ლოკალიზაციის მეზოთელური ქსოვილი
- D19.9 მეზოთელური ქსოვილი, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის
- D20 რეტროპერიტონეუმისა და პერიტონეუმის რბილი ქსოვილების
კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D20.0 რეტროპერიტონეუმის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D20.1 პერიტონეუმის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D21 შემაერთებული და სხვა რბილი ქსოვილების კეთილთვისებიანი
სიმსივნე, სხვა
- D21.0 თავის, სახისა და კისრის შემაერთებული და სხვა რბილი
ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D21.1 ზედა კიდურის, მათ შორის მხრის სარტყლის, შემაერთებული
და სხვა რბილი ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D21.2 ქვედა კიდურის, მათ შორის მენჯ-ბარძაყის, შემაერთებული და
სხვა რბილი ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D21.3 გულმკერდის შემაერთებული და სხვა რბილი ქსოვილების
კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D21.4 მუცლის შემაერთებული და სხვა რბილი ქსოვილების
კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D21.5 მენჯის შემაერთებული და სხვა რბილი ქსოვილების
კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D21.6 ტორსის დაუზუსტებელი უბნის შემაერთებული და სხვა რბილი
ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D21.9 შემაერთებული და სხვა რბილი ქსოვილების (დაუზუსტებელი
ლოკალიზაციის) კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D22 მელანოციტური ხალი (ნევუსი)
- D22.0 ტუჩის მელანოციტური ხალი
- D22.1 ქუთუთოს, მათ შორის თვალის ნაპრალის კუთხის,
მელანოციტური ხალი
- D22.2 ყურისა და გარეთა სასმენი მილის მელანოციტური ხალი
- D22.3 სახის სხვა და დაუზუსტებელი ნაწილების მელანოციტური
ხალი
- D22.4 თავის კანის თმიანი ნაწილისა (სკალპის) და კისრის
მელანოციტური ხალი
- D22.5 ტორსის მელანოციტური ხალი

- D22.6 ზედა კიდურის, მათ შორის მხრის სარტყლის, მელანოციტური ხალი
- D22.7 ქვედა კიდურის, მათ შორის მენჯ-ბარძაყის, მელანოციტური ხალი
- D22.9 მელანოციტური ხალი, დაუზუსტებელი
- D23 კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.0 ტუჩის კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.1 ქუთუთოს, მათ შორის თვალის ნაპრალის კუთხის, კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.2 ყურისა და გარეთა სასმენი მილის კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.3 სახის სხვა და დაუზუსტებელი ნაწილების კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.4 სკალპისა და კისრის კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.5 ტორსის კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.6 ზედა კიდურის, მათ შორის მხრის სარტყლის, კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.7 ქვედა კიდურის, მათ შორის მენჯ-ბარძაყის, კანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D23.9 კანის, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის, სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D24 სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D25 საშვილოსნოს ლეიომიომა
- D25.0 საშვილოსნოს სუბმუკოზური ლეიომიომა
- D25.1 საშვილოსნოს ინტრამურალური ლეიომიომა
- D25.2 საშვილოსნოს სუბსეროზული ლეიომიომა
- D25.9 საშვილოსნოს ლეიომიომა, დაუზუსტებელი
- D26 საშვილოსნოს სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D26.0 საშვილოსნოს ყელის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D26.1 საშვილოსნოს ტანის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D26.7 საშვილოსნოს სხვა ნაწილების სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D26.9 საშვილოსნოს დაუზუსტებელი ლოკალიზაციის სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D27 საკვერცხის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D28 ქალის სხვა და დაუზუსტებელი სასქესო ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D28.0 ვულვის კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D28.1 საშოს კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D28.2 საშვილოსნოს მილების და იოგების კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D28.7 ქალის სხვა, დაუზუსტებული, სასქესო ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D28.9 ქალის, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის, სასქესო ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- D29 მამაკაცის სასქესო ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D29.0 სასქესო ასოს კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D29.1 პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნე (წინამდებარე ჯირკვალი)
- D29.2 სათესლე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D29.3 სათესლე ჯირკვლის დანამატის კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D29.4 სათესლე პარკის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D29.7 მამაკაცის სხვა სასქესო ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D29.9 მამაკაცის დაუზუსტებელი ლოკალიზაციის სასქესო ორგანოს კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D30 საშარდე ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D30.0 თირკმელის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D30.1 თირკმლის მენჯის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D30.2 შარდსაწვეთის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D30.3 შარდის ბუშტის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D30.4 შარდსადენის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D30.7 სხვა საშარდე ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D30.9 დაუზუსტებელი საშარდე ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D31 თვალისა და მისი დანამატების კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D31.0 კონიუნქტივის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D31.1 რქოვანის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D31.2 ბადურის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D31.3 სისხლძარღვოვანი გარსის კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D31.4 წამწამოვანი სხეულის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D31.5 საცრემლე ჯირკვლის და სადინარის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D31.6 თვალბუდის დაუზუსტებელი ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D31.9 თვალის დაუზუსტებელი ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D32 თავის ტვინის გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D32.0 თავის ტვინის გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D32.1 ზურგის ტვინის გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D32.9 ტვინის დაუზუსტებელი გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D33 თავის ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა ნაწილების კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D33.0 თავის ტვინი, სუპრატენტორული ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D33.1 თავის ტვინის, ინფრატენტორული ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნე

- D33.2 თავის ტვინის კეთილთვისებიანი სიმსივნე , დაუზუსტებელი
- D33.3 კრანიალური ნერვების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D33.4 ზურგის ტვინის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D33.7 ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა დაუზუსტებული ნაწილების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D33.9 ცენტრალური ნერვული სისტემის დაუზუსტებელი ლოკალიზაციის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D34 ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35 ენდოკრინული ჯირკვლების სხვა და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.0 თირკმელზედა ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.1 ფარისებრ ახლო ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.2 ჰიპოფიზის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.3 კრანოფარინგული სადინრის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.4 ეპიფიზის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.5 კაროტიდული გლომუსის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.6 აორტული გლომუსის და სხვა პარაგანგლიების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.7 სხვა დაუზუსტებული ენდოკრინული ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D35.8 პოლიგლანდულური დაზიანება (კეთილთვისებიანი სიმსივნე)
- D35.9 დაუზუსტებელი ენდოკრინული ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D36 სხვა და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D36.0 ლიმფური კვანძების კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D36.1 პერიფერიული ნერვების და ვეგეტატიური ნერვული სისტემის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D36.7 სხვა დაუზუსტებული ლოკალიზაციის კეთილთვისებიანი სიმსივნე
- D36.9 კეთილთვისებიანი სიმსივნე, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის
- D37 პირის ღრუსა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D37.0 ტუჩის, პირის ღრუს და ხახის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D37.1 კუჭის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D37.2 წვრილი ნაწლავის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D37.3 ჭიანაწლავის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე

- D37.4 კოლინჯის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D37.5 სწორი ნაწლავის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D37.6 ღვიძლის, სანადვლე ბუშტის და ნადვლის სადინარების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D37.7 საჭმლის მომნელებელი სხვა ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D37.9 საჭმლის მომნელებელი ორგანოების (დაუზუსტებელი) გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D38 შუა ყურის, სასუნთქი სისტემისა და გულმკერდის ღრუს ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D38.0 ხორხის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D38.1 ტრაქეის, ბრონქის და ფილტვის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D38.2 პლევრის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D38.3 შუასაყარის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D38.4 თიმუსის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D38.5 სხვა სასუნთქი ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D38.6 დაუზუსტებელი სასუნთქი ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D39 ქალის სასქესო ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D39.0 საშვილოსნოს გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D39.1 საკვერცხის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D39.2 პლაცენტის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D39.7 ქალის სხვა სასქესო ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D39.9 ქალის დაუზუსტებელი სასქესო ორგანოს გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D40 მამაკაცის სასქესო ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D40.0 პროსტატის (წინამდებარე ჯირკვალი) გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D40.1 სათესლე ჯირკვლის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D40.7 მამაკაცის სხვა სასქესო ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D40.9 მამაკაცის დაუზუსტებელი სასქესო ორგანოს გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D41 საშარდე ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე

- D41.0 თირკმლის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D41.1 თირკმლის მენჯის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D41.2 შარდსაწვეთის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D41.3 შარდსადენის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D41.4 შარდის ბუშტის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D41.7 სხვა საშარდე ორგანოების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D41.9 დაუზუსტებელი საშარდე ორგანოს გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D42 თავისა და ზურგის ტვინის გარსების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D42.0 თავის ტვინის გარსების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D42.1 ზურგის ტვინის გარსების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D42.9 ტვინის გარსების (დაუზუსტებელი თავის თუ ზურგის ტვინის) გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D43 თავის ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D43.0 თავის ტვინი, სუპრატენტორული ნაწილი
- D43.1 თავის ტვინის, ინფრატენტორული ნაწილის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D43.2 თავის ტვინის, დაუზუსტებელი, გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D43.3 კრანიალური ნერვების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D43.4 ზურგის ტვინის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D43.7 ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა ნაწილების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D43.9 ცენტრალური ნერვული სისტემის, დაუზუსტებელი უბნის, გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D44 ენდოკრინული ჯირკვლების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D44.0 ფარისებრი ჯირკვლის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D44.1 თირკმელზედა ჯირკვლის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D44.2 ფარისებრახლო ჯირკვლის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D44.3 ჰიპოფიზის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D44.4 კრანიალ-ფარინგული სადინრის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე

- D44.5 ეპიფიზის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D44.6 კაროტიდული გლომუსის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D44.7 აორტული გლომუსის და სხვა პარაგანგლიების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D44.8 პოლიგლანდულური დაზიანება, გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D44.9 დაუზუსტებელი ენდოკრინული ჯირკვლის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D45 ჭეშმარიტი პოლიციტემია (Polycythaemia vera)
D46 მიელოდისპლაზიური სინდრომები
D46.0 რეფრაქციული (მტკიცე) ანემია სიდერობლასტების გარეშე
D46.1 რეფრაქციული (მტკიცე) ანემია სიდერობლასტებით
D46.2 რეფრაქციული (მტკიცე) ანემია ბლასტური ფორმების სიჭარბით
D46.3 რეფრაქციული (მტკიცე) ანემია ბლასტური ფორმების ჭარბი რაოდენობითა და მათუ ტრანსფორმაციით
D46.4 რეფრაქციული (მტკიცე) ანემია, დაუზუსტებელი
D46.7 სხვა მიელოდისპლაზიური სინდრომები
D46.9 მიელოდისპლაზიური სინდრომი, დაუზუსტებელი
D47 ლიმფოიდური, სისხლმზადი და მონათესავე ქსოვილების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სხვა სიმსივნეები
D47.0 გაურკვეველი და უცნობი ქცევის ჰისტოციტური და პოხიერუჯრედული სიმსივნეები
D47.1 ქრონიკული მიელოპროლიფერაციული ავადმყოფობა
D47.2 მონოკლონური გამაპათია
D47.3 ესენციური (ჰემორაგიული) თრომბოციტემია
D47.7 ლიმფოიდური, სისხლმზადი და მონათესავე ქსოვილების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სხვა დაუზუსტებელი სიმსივნეები
D47.9 ლიმფოიდური, სისხლმზადი და მონათესავე ქსოვილების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე, დაუზუსტებელი
D48 სხვა და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D48.0 ძვლის და სასახსრე ხრტილის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D48.1 შემაერთებელი და სხვა რბილი ქსოვილების გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D48.2 პერიფერიული ნერვების და ვეგეტატიური ნერვული სისტემის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D48.3 რეტროპერიტონეუმის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D48.4 პერიტონეუმის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
D48.5 კანის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე

- D48.6 სარბევე ჯირკვლის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D48.7 სხვა, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის, გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე
- D48.9 გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე, დაუზუსტებელი "ზრდა", რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურის) პროგრამა დაყოფილია 2 ეტაპად (ნაწილად):

- მზადების I ეტაპის მიზანია შეასწავლოს რეზიდენტს კანცეროგენეზის მექანიზმები, ზოგადი ონკოლოგიის თეორიული საფუძვლები, ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითადი პრინციპები, მკურნალობის გართულებებისა და გადაუდებელი მდგომარეობების მართვის პრინციპები.
- მზადების II ეტაპზე რეზიდენტმა უნდა შეიძინოს სპეციფიკური ცოდნა, უნარ-ჩვევები და მიღწემები, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემენ განსაზღვროს ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის ტაქტიკა და ეფექტურად მართოს ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსინეებით დაავადებული პაციენტები.

4. სასწავლო პროგრამის შინაარსი

მოდულების ჩამონათვალი:

პროფესიული მზადების I წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ავთვისებიან სიმსივნეთა მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგია, ეთიოლოგია და პათოგენეზი. კანცეროგენეზის თანამედროვე კონცეფცია. ავთვისებიან სიმსივნეთა კლასიფიკაცია.	1 თვე
1.2.	ონკოეპიდემიოლოგია. დისკრიპტიული და ანალიტიკური ონკოეპიდემიოლოგიის კვლევის მეთოდები. კიბოს რეგისტრი. ავთვისებიან სიმსივნეთა პრევენცია და სკრინინგი	2 თვე
1.3.	გადაუდებელი მედიცინა	2 თვე
1.4.	ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის თეორიული საფუძვლები. დიაგნოსტიკის მეთოდები და თავისებურებანი: ვერიფიკაცია (ციტოლოგია, პათომორფოლოგია, იმუნოჰისტოქიმია), გამოსახულებითი დიაგნოსტიკა (X-Ray, Ultrasound, CT, MRI, PET), ონკომარკერები. ავთვისებიან სიმსივნეთა კლინიკური კლასიფიკაცია და კლინიკური ჯგუფები.	4 თვე
1.5.	ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის მეთოდები და ავადმყოფთა მართვის თავისებურებანი. მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის პრინციპები (TNM სტადიის, ვერიფიკაციის, ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის, ასაკისა და ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებით)	2 თვე

პროფესიული მზადების II წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	სანგრძლივობა
2.1.	ონკოლოგიური ავადმყოფების ამბულატორიული მომსახურება.	1 თვე
2.2	ავთვისებიან სიმსივნეთა მედიკამენტური მკურნალობის (ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონთერაპია) პრინციპები, ჩვენებები, უკუჩვენებები, გართულებები, მათი პრევენცია და მკურნალობა.	4 თვე
2.3.	ავთვისებიანი სიმსივნეების სხივური თერაპიის პრინციპები და მეთოდები. სხივური თერაპიის გართულებები.	2 თვე
2.4.	ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების (ხოჯკინის დაავადება და ავთვისებიანი ლიმფომა) ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.	2 თვე
2.5.	იმუნო და მიელოპროლიფერაციული დაავადებების, მწვავე და ქრონიკული ლეიკემიის ეპიდემიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	2 თვე
პროფესიული მზადების III წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	სანგრძლივობა
3.1.	ფილტვის, პლევრის, შუასაყრის და გულმკერდის კედლის ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა	1 თვე
3.2.	თავისა და კისრის ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ცნს-ის სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა	1 თვე
3.3.	სარძევე ჯირკვლის კიბოს ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა	2 თვე
3.4.	საჭმლის მომნელებელ ორგანოთა და რეტროპერიტონული სივრცის ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	1 თვე
3.5.	გინეკოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა	1 თვე
3.6.	თირკმელების, შარდის ბუშტის, სათესლე ჯირკვლის და სასქესო ასოს ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა	1 თვე
3.7.	კანის, ძვლების და რბილი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეების და მელანომის ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა	1 თვე
3.8.	ბავშვთა ძირითადი ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე პრინციპები.	2 თვე
3.9.	ონკოინკურაბელური ავადმყოფების მოვლა-	1 თვე

პატრონობა და სიმპტომური მკურნალობა (პალიატიური მზრუნველობა).

5. აკადემიური კერძონალი, კვალიფიკაცია და საბანმანათლებლო რესურსები

სარეზიდენტო პროგრამით მზადებას უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც საკმარისი საგანმანათლებლო რესურსი გააჩნიათ იმისათვის, რომ რეზიდენტმა სრულყოფილი კურსი გაიაროს. დაკმაყოფილება მოთხოვნა წლის განმავლობაში ამბულატორიულ რეჟიმში პაციენტების მომართვიანობის და სტაციონარულ რეჟიმში დაყოვნების (საწოლდღეების) მიხედვით; ჩატარებული სამკურნალო, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური მანიპულაციების რაოდენობის მიხედვით; ასევე სასწავლო ფართის და ტექნიკური აღჭურვილობის მიხედვით.

6. ხარისხის უზრუნველყოფის მიქანიზმები

სწავლების/შეფასების მეთოდები:

სწავლების/შეფასების პრინციპები

1. რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს რეზიდენტის მიერ ჩატარებული საქმიანობის (ა) პერიოდულ და (ბ) შემაჯამებელ შეფასებას.
2. პერიოდული შეფასება ტარდება რეზიდენტის მზადების ყოველი ცალკეული ციკლის დასრულების შემდეგ (მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ), მის მიერ ამ ციკლის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგების ანალიზის საფუძველზე. რეზიდენტის პერიოდული შეფასებას ატარებს პროგრამის ხელმძღვანელი მოდულზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

შეფასების მეთოდები

რეზიდენტურის პროგრამით პროფესიული მზადების შედეგების შეფასების პროცედურა ითვალისწინებს რეზიდენტის მიერ პირადად:

- გატარებული ავადმყოფების რიცხვს და დაავადებების მრავალფეროვნებას (სპექტრს);
- ჩატარებული დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურების, მანიპულაციების, ასისტენციის, მანიპულაციების ნაირსახეობას, რიცხვსა და ხარისხს;
- დამუშავებული სამედიცინო ღოკუმენტაციის (ავადმყოფის ისტორიები, გამოკვლევის დასკვნები, ამონაწერები, სამედიცინო ცნობები და სხვა) რიცხვსა და ხარისხს;
- სამედიცინო კონფერენციებისა და სემინარების მუშაობაში მისი პერსონალური მონაწილეობის (გამოსვლების) სიხშირეს და დონეს;
- ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებებში თუ განყოფილებებში ღოკალური კლინიკური ხელმძღვანელებისაგან მიღებულ დახასიათებებს.

შესაფასებელი კომპეტენციები

- თეორიული ცოდნა ზოგად ონკოლოგიასა და ონკოლოგიაში ფასდება მოდულზე პასუხისმგებელ პირის მიერ სისტემატურად, თითოეული თავის (საკითხის) გავლის შემდეგ და ფიქსირდება რეზიდენტის დღიურში;
- პრაქტიკული საქმიანობა ფასდება გატარებული პაციენტების რიცხვით (დამუშავებული ისტორიებით და ამბულატორიული ბარათებით), ჩატარებული მანიპულაციების რიცხვით, მონაცემები ფიქსირდება რეზიდენტის დღიურის საშუალებით;
- რეზიდენტის მზადების ხარისხის შეფასებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სამეცნიერო კვლევებში და პედაგოგიურ საქმიანობაში (სტუდენტებთან, პირველი კურსის რეზიდენტებთან და მაძიებლებთან) მონაწილეობას მოდულზე პასუხისმგებელ პირთან ერთად;
- რეზიდენტურის პროგრამის დასრულების შემდეგ, რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების მოდულზე პასუხისმგებელი პირების გაერთიანებულ კრებაზე პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ტარდება რეზიდენტების შემაჯამებელი შეფასება. პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებისა და დადებითი შემაჯამებელი დახასიათების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება დიპლომის შემდგომი მზადების (რეზიდენტურის) გავლის დამადასტურებელი ღოკუმენტის გაცემის შესახებ.

7. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

რეზიდენტურაში პროფესიული მზადება წარიმართება ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულზე პასუხისმგებელი პირები და რეზიდენტები.

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები:

1. მისაღები გამოცდის პროგრამის შედგენა და რეზიდენტურაში მიღების პროცესში მონაწილეობა;
2. სპეციალობის აღწერილობის საფუძველზე შედგენილ დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტებული პროგრამის განხორციელება;
3. სამედიცინო დაწესებულების და მოდულზე პასუხისმგებელი პირის მითითებით რეზიდენტის ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის შედგენა;
4. წინასწარ დადგენილი ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით რეზიდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი;
5. მოდულზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად დადგენილი წესის მიხედვით ყოველწლიურად რეზიდენტის მუშაობის შეფასება;
6. ყოველწლიური შეფასების შედეგების გათვალისწინებით რეზიდენტისათვის რეკომენდაციას მიცემა პროგრამის გაგრძელების შესახებ;
7. რეზიდენტურის კურსის წარმატებული დასრულების შემდეგ რეზიდენტის შემაჯამებელი ატესტაციის ჩატარება და კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შესახებ რეკომენდაციის მიცემა;
8. მოდულზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის (ლოკალური ხელმძღვანელის) მოვალეობები:

1. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის მუშაობის წარმართვა;
2. რეზიდენტებთან პედაგოგიურ მუშაობისათვის თავისი საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა.
3. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით პროგრამ-ხელმძღვანელისათვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა;
4. რეზიდენტის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.

რეზიდენტის უფლება/მოვალეობები:

1. რეზიდენტი შეიძლება გარიცხული იქნას რეზიდენტურიდან ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერაძღვევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების/სასწავლებლის ხელმძღვანელობისათან შეთანხმებით;
2. რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძღვევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, თანამედროვე ტიპის კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
3. რეზიდენტი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
4. რეზიდენტი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს რეზიდენტის პერსონალურ დღიურში;
5. რეზიდენტი ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს წარუდგინოს პროგრამის ხელმძღვანელს გაწეული მუშაობის ანგარიში და გაიაროს ეტაპობრივი და დამასრულებელი ატესტაცია დადგენილი წესით;

6. რეზიდენტი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების განრიგით განსაზღვრული საქმიანობა.

8. პროგრამის ხანგრძლივობა

ონკოლოგიის სპეციალობით რეზიდენტის მზადების მინიმალური ხანგრძლივობა **3 წელიწადია**. ზოგადი ონკოლოგიის საბაზისო კურსის გავლის შემდეგ, რომელიც საერთოა მომიჯნავე სპეციალობისთვის (1 წელი), ონკოლოგიაში სწავლების მე-2 და მე-3 წელი ეთმობა კერძო ონკოლოგიის საფუძვლებს.

9. პროგრამის განახლების პერიოდულობა

პროგრამების რევიზია უნდა მოხდეს წარსული გამოცდილების, მიმდინარე მდგომარეობისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით. სწავლების პროგრამა და მეთოდები მუდმივად უნდა გადაიხედოს, რათა სარწმუნო იყოს მათი შესაბამისობა სპეციალობის სტანდარტებთან. კომპეტენციების მოდიფიცირება უნდა განხორციელდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაბამისად. ამასთანავე უნდა მოხდეს სასწავლო რესურსებისა და შეფასების კრიტერიუმების განახლება.

კურიკულუმის განახლება უნდა მოხდეს სპეციალობის სტანდარტების განახლების შესაბამისად, 5 წელიწადში ერთხელ.

II. პროგრამის სპეციფიური ნაწილი

„ონკოლოგიაში“ სარეზიდენტო პროგრამის სპეციფიური ნაწილი მოიცავს სწავლების 3 წელს და საჭიროა ონკოლოგიური დაავადებების მართვის კომპეტენციების დასაუფლებლად.

პროგრამის მზადების I წლის მოდულები

მოდული 1.1.

ავთვისებიან სიმსივნეთა მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგია, ეთიოლოგია და პათოლოგია. კანცეროგენეზის თანამედროვე კონცეფცია. ავთვისებიან სიმსივნეთ კლასიფიკაცია.

1. მოდულის ხანგრძლივობა 1 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა შეისწავლოს ავთვისებიან სიმსივნეთა მოლეკულური ბიოლოგიის თავისებურებანი, სიმსივნეზე იმუნური პასუხის უჯრედული და მოლეკულური მექანიზმები, კიბოს ეთიოლოგია და პათოლოგია, ავთვისებიან სიმსივნეთა ტოპოგრაფიული და მორფოლოგიური კლასიფიკაცია, კანცეროგენეზის თანამედროვე კონცეფცია, რათა შეიქმნას თეორიული საფუძველი დიაგნოსტიკაში, კლინიკასა და მკურნალობაში დასახელოვნებლად. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

1. უჯრედთა პროლიფაცია და დიფერენცია
2. მოლეკულური ბიოლოგია
3. ზრდის ფაქტორები, ონკოგენები
4. უჯრედული სიგნალების გამტარი გზები და მათი მუტაციები
5. ავთვისებიან სიმსივნეთა ბიოქიმია
6. ინვაზია, მეტასტაზები და სიმსივნური ნეოანგიოგენეზი
7. ლიმფორეტიკულური უჯრედები და მათი პროდუქტები

8. ადამიანის ტუმორ-სპეციფიური უჯრედული იმუნიტეტი
 9. ადამიანის ტუმორ-სპეციფიური ჰუმორული იმუნიტეტი
 10. კიბოს იმუნოთერაპიის საფუძვლები
 11. სოლიდური სიმსივნეების სტრუქტურა და სტრომის წარმოქმნა
 12. კანცეროგენეზი
 13. გენეტიკური ფაქტორები ონკოლოგიაში
- 3. ლიტერატურის ნუსხა – მოცემულია ქვევით.**
- 4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და შინაარსი მოცემულია ცხრილში**

თეორიული კურსი	დავალება/შეფასება
ავთვისებიანი სიმსივნის განსაზღვრება. ავთვისებიანი სიმსივნეების ბიოლოგია კეთილთვისებიანი, ავთვისებიანი სიმსივნეები და სიმსივნის მსგავსი პროცესები. უჯრედების გამრავლება და ტრანსფორმაცია. სიმსივნის ინიციაცია. სიმსივნეებში უჯრედის ციკლის რეგულაციის მოშლა აპოფტოზი სიმსივნურ უჯრედებში. სიმსივნის ინვაზია. ნეოანგიოგენეზი.	პრეზენტაციების ანალიზი
უჯრედთა პროლიფერაცია და დიფერენციაცია. მოლეკულური მოვლენები უჯრედის პროლიფერაციაში. შიმსივნური უჯრედის თვისებები კულტურაში. დიფერენციაციის მაკონტროლებელი უჯრედგარეთა ფაქტორები. უჯრედშიდა რეგულატორები.	პრეზენტაციების ანალიზი
მოლეკულური ბიოლოგია. ონკოგენები და გენის ექსპრესია. გენის კლონირება.	პრეზენტაციების ანალიზი
სიგნალის გამტარი გზები და მათი მუტაცია.	პრეზენტაციების ანალიზი
ზრდის ფაქტორები, მათი კლასიფიკაცია. ზრდის ფაქტორთან ასოცირებული დარღვევები კიბოს უჯრედებში. აბერაციები, რომლებიც მოქმედებენ ზრდის ფაქტორზე სიმსივნურ უჯრედებში	პრეზენტაციების ანალიზი
ონკოგენები. პროტონკოგენების ფუნქცია. ონკოგენების აქტივაციის მექანიზმები.	პრეზენტაციების ანალიზი
ავთვისებიან სიმსივნეთა ბიოქიმია. ონკოფეტალური ცილის ექსპრესია კიბოს უჯრედებში. ავთვისებიან სიმსივნის მიერ გამოთქმული ექტოპიური ჰორმონები. კიბო, კახექსია და კახექსიური ფაქტორი. შიმსივნის ნეკროზის ფაქტორი ან კახექტინი. აპოპტოზი და კიბოს უჯრედთა უკვდავება.	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
ინვაზია და მეტასტაზირება. მასპინძლის და სიმსივნის ურთიერთქმედება მეტასტაზურ კასკადში. სიმსივნის მეტასტაზური უჯრედების ურთიერთქმედება უჯრედგარეთა მატრიქსთან. შიმსივნური უჯრედების მიგრაცია. ინვაზიის და მეტასტაზების გენეტიკური რეგულაცია. მეტასტაზების სუპრესორი გენები.	პრეზენტაციების ანალიზი
სიმსივნური ანგიოგენეზი. სიმსივნის ზრდის, ინვაზიის და მეტასტაზირების კავშირი ანგიოგენეზთან. ენდოგენური ანგიოგენეზური ფაქტორები. ანგიოგენეზის ინჰიბიტორები.	პრეზენტაციების ანალიზი
სიმსივნის იმუნოლოგია. სიმსივნე, როგორც ქსოვილოვანი ტრანსპლანტანტი. იმუნური ზედამხედველობა. სიმსივნესთან ასოცირებული ანტიგენები. სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნური პასუხი. სიმსივნის მიერ იმუნური პასუხის თავიდან აცილება. სიმსივნური უჯრედების მოკვლის იმუნოლოგიური მექანიზმები. უჯრედების მიერ დესტრუქციის თავიდან აცილების მექანიზმები. იმუნოდაგნოსტიკა. პასიური და აქტიური იმუნოთერაპია.	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
კიბოს ეთიოლოგია. კანცეროგენეზის თანამედროვე კონცეფცია. გენეტიკური წინასწარგანწყობა. ქიმიური, ჰორმონული, ფიზიკური და ბიოლოგიური კანცეროგენები. მაიონიზირებელი რადიაცია. ულტრაიისფერი სხივები. ტრაუმა და ანთება. დაბალი სისშირის ელექტრომაგნეტური ველი.	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება

კიბოს პათოგენეზის საფუძვლები. სოლიდური სიმსივნეების სტრუქტურა და სიმსივნის სტრომის წარმოშობა. კანცეროგენეზის მოლეკულური მექანიზმები.	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
--	-------------------------------------

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტს ან სპეციალისტს მაძიებელმა უნდა იცოდეს/შეეძლოს:

- კანცეროგენეზის თანამედროვე კონცეფცია და კანცეროგენები.
- ავთვისებიან სიმსივნეთა ბიოლოგიური თავისებურებანი: ავტონომიურობა, ანაპლაზია, ინვაზია, მეტასტაზირება, ნეოანგიოგენეზი.
- სიმსივნის იმუნოლოგიის საფუძვლები.
- კიბოს პათოლოგიის საფუძვლები. სოლიდური სიმსივნეების სტრუქტურა და სიმსივნის სტრომის წარმოშობა

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება

მოდული 12.

ონკოპედიამიოლოგია. დისკრიპტიული და ანალიტიკური ონკოპედიამიოლოგიის კვლევის მეთოდები.

1. მოდულის ხანგრძლივობა – 2 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს ონკოპედიამიოლოგიური კვლევების მეთოდები, დისკრიპტიული და ანალიტიკური ონკოპედიამიოლოგიის კვლევის მეთოდები, ავთვისებიან სიმსივნეთა პრევენცია, კიბოს სკრინინგის და ადრეული გამოვლენის მეთოდები. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

1. დისკრიპტიული ონკოპედიამიოლოგიური კვლევის მეთოდები
2. ანალიტიკური ონკოპედიამიოლოგიური კვლევის მეთოდები
3. ადამიანისათვის დადგენილი და საექსპო გარემოს კანცეროგენები
4. ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური კანცეროგენები. თამბაქოს, ალკოჰოლის, დიეტური ფაქტორების, ასბესტის, რადიაციის, მზის გამოსხივების, ვირუსების და სხვა ინფექციური აგენტების, პროფესიული ქიმიკატების, მედიკამენტების და მასპინძლის (ადამიანის) ათვისებადობის ფაქტორების როლი კიბოს განვითარებაში.
5. კლინიკური კვლევების თეორია და პრაქტიკა
6. კიბოს პრევენცია, სკრინინგი და ადრეული გამოვლენა.
7. კიბოს რეგისტრ. სტატისტიკისა და ეპიდემიოლოგიის თანამედროვე საერთაშორისო სისტემები

3. ლიტერატურის ნუსხა – მოცემულია ქვევით.

4. შესრულებული სამუშაოს მოცულობა და შინაარსი:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარჩვენებები (რაოდენობის მითითებით)	დაგალება/შეფასება
კიბოს ეპიდემიოლოგია (ონკოპედიამიოლოგია). დისკრიპტიული კვლევები. მონაცემთა წყაროები. ავადობა და სიკვდილობა. ასაკის როლი. რასობრივი, ეთნიკური და საერთაშორისო ვარიაციები.	ეპიდემიოლოგიური მონაცემების დამუშავების, ინტერპრეტაციისა და ანალიზის უნარი, მათი გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
ანალიტიკური კვლევები. შემთხვევა კონტროლის, ხანმოკლე და კოჰორტული კვლევების შედეგების ანალიზი. ადამიანისათვის დადგენილი და საექსპო კანცეროგენები. თამბაქო, ალკოჰოლი, რადიაცია, მზის სხივები, ასბესტის ბოჭკოები, საკვები პროდუქტები, ვირუსები და სხვა ინფექციური ფაქტორები, ქიმიკატე-	ანალიტიკური კვლევების შედეგების მონაცემების დამუშავების, ინტერპრეტაციისა და ანალიზის უნარი, მათი გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება

ბის შემოქმედება, მედიკამენტები. მასპინძლის მგრძობელობის ფაქტორი.		
კიბოს რეგისტრი	კიბოს რეგისტრირების პროგრამის დაუფლება, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის უნარი. საერთაშორისო კლასიფიკატორების გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში.	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება, CanReg – პროგრამის ფლობა, Globocan, Mondial მონაცემების ანალიზი
ავთვისებან სიმსივნეთა პრევენცია (თავიდან აცილება). თამბაქოსთან და კვებასთან დაკავშირებული კიბოს პრევენცია. კიბოს ქიმიური პრევენცია	საკანონმდებლო ბაზის გაცნობა, ქვეყანაში არსებული პირველადი, მეორეული და მესამეული პრევენციული ღონისძიებების ცოდნა, საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა.	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
კიბოს სკრინინგი და ადრეული დიაგნოსტიკა.	ადრეული დიაგნოსტიკისა და სკრინინგის საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა, ქვეყანაში არსებული სკრინინგისა და ადრეული დიაგნოსტიკის პროგრამების გაცნობა	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეეძლოს:

- ონკოეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდები (დისკრიპტიული და ანალიტიური).
- ავთვისებიან სიმსივნეთა პრევენციისა და პროფილაქტიკის საფუძვლები
- კიბოს სკრინინგის და ადრეული დიაგნოსტიკის პრინციპები
- ადამიანისთვის დადგენილი და საეჭვო კანცეროგენები. თამბაქო, ალკოჰოლი, რადიაცია, მზის სხივები, აზბესტის ბოჭკოები, საკვები პროდუქტები, ვირუსები და სხვა ინფექციური ფაქტორები, ქიმიკატების შემოქმედება სამუშაო ადგილზე, მედიკამენტები. მასპინძლის მგრძობელობის ფაქტორი.
- კიბოს რეგისტრის პროგრამა CanReg, სტატისტიკური ინფორმაციის dagrovebis საერთაშორისო სისტემები - Globocan, Mondial

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება

მოდული 1.3.

გადაუღებელი მემოცინა

1. მოდულის ხანგრძლივობა - 2 თვე
2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების დიაგნოსტიკა და მართვა.
3. მოდულის განხორციელების პირობები - შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.

განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხო რეცეპტურა
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი

გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ცუსდი ამბების შეტყობინება
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები
გადაუდებელი მდგომარეობები:
გულის განჩერება
შოკური სტატუსის მქონე პაციენტის მართვა
უგონო პაციენტის მართვა
ანაფილაქსია
უზშირესი სამედიცინო მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
კოლაფსი
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი
ტკივილი გულის არეში
მწვავე კონფუზია/დელირიუმი
ხველა
დიარეა
გონების დაკარგვა
კიდურის ტკივილი და შეშუპება
გულის ფრიალი
მოწამვლა
გამონაყარი
გულისრევა და ღებინება
სისუსტე და დამბლა
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები
ასციტი და გაუვალობა
პათოლოგიური მგრძმონელობა (პარესთეზია და მგრძმობელობის დაკარგვა)
აღკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
ღიალიზი
ჰემოპტიზი
თავის ტრავმა
ხმის ჩახლენა და სტრიდორი
ჰიპოთერმია
მოძრაობის შეზღუდვა
უნებელი მოძრაობები
სახსრების შეშუპება
წელის ტკივილი

ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები
ტკივილი კისრის მიდამოში
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან
მეტეწელების გაძნელება
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები
სინკოპე და პრესინკოპე
წონასწორობის დაკარგვა/დისბალანსი
მხედველობის დარღვევა (დიპლოპია, მხედველობის ველის დეფექტები, დაქვეითებული სიმახვილე)

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

პროცედურებისა და მანიპულაციების შესრულება უნდა მოხდეს სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად

შესასრულებელი პროცედურები და მანიპულაციები	
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	
სარუანიმაციო დონისძიებების ჩატარება: ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია, გულის არაპირდაპირი მასაჟი, გულის ელექტრული სტიმულაცია, ელექტრული დეფიბრილაცია, კარდიოვერსია, ტრაქეის ინტუბაცია;	
ტრანსფუზიული თერაპიის ჩვენებების განსაზღვრა და ტექნიკა;	
ცხვირის წინა და უკანა ტამპონადა სისხლდენის დროს;	
პირველადი სასწრაფო დახმარება თვალის ტრავმის, ჭრილობების, დამწვრობის დროს;	
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;	
თორაკოცენტეზი, პლევრის პუნქცია	
პარაცენტეზი	
სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი;	
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრაფიის გადაღება და ინტერპრეტაცია);	
ნაზოგასტრალური ზონდის ჩაყენება	
სისხლდენის შეჩერების დროებითი მეთოდები;	
მოტეხილობების დროებითი იმობილიზაცია;	
შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;	
მორიგეობა	

შეფასების სისტემა	მოდულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

ლიტერატურის ნუსხა:

- ა. Harrison – “Internal Diseases”
- ბ. Merck Manuel
- გ. Judith Tintinali., Emergency Medicine Textbook. 2009

ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის თეორიული საფუძვლები. დიაგნოსტიკის მეთოდები და თავისებურებანი: ვერიფიკაცია (ციტოლოგია, პათომორფოლოგია, იმუნოჰისტოქიმია), გამოსახულებითი დიაგნოსტიკა (X-Ray, Ultrasound, CT, MRI, PET), ონკომარკერები. ავთვისებიან სიმსივნეთა კლინიკური კლასიფიკაცია და კლინიკური ჯგუფები.

1. მოდულის ხანგრძლივობა 4 თვე

2. მოდულის მიზანი რეზიდენტმა ან მაძიებელმა ათვისოს ავთვისებიან სიმსივნეთა გამოსახვითი, ენდოსკოპიური, მორფოლოგიური გამოკვლევის და ინტერვენციული რადიოლოგიის პრინციპები, ავთვისებიან სიმსივნეთა კლინიკური კლასიფიკაცია და კლინიკური ჯგუფები. **მოდულის ამოცანები:** მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს, მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება და შეისწავლოს ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის თეორიული საფუძვლები, კერძოდ:

2.1. ავთვისებიანი სიმსივნეების ვერიფიკაციის გზები, მათი მნიშვნელობა მკურნალობის ტაქტიკისა და დაავადების პროგნოსის თვალსაზრისით:

- ციტოლოგია, პათომორფოლოგია, იმუნოჰისტოქიმია
- ავთვისებიან სიმსივნეთა ჰისტომორფოლოგიური კლასიფიკაცია
- ჰისტოლოგიური და ციტოლოგიური მასალის აღება და მომზადება
- ჰისტოლოგიური და ციტოლოგიური პრეპარატების მიკროსკოპული ინტერპრეტაცია
- იმუნოჰისტოქიმია

2.2. რენტგენოლოგიური, ულტრასონოგრაფიული, CT, MRI, PET გამოსახვის მეთოდების გამოყენება ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკაში და მკურნალობის შემდგომ მონიტორინგში:

- თავის, კისრისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ნეოპლაზმების გამოსახვის მეთოდები, გულმკერდის ღრუს სიმსივნეთა გამოსახვის მეთოდები
- მუცლის ღრუს ორგანოთა სიმსივნეების გამოსახვის მეთოდები,
- ძვლებისა და რბილი ქსოვილების სიმსივნეთა გამოსახვის მეთოდები,
- ძუძუს გამოსახვის მეთოდები
- გამოსახვის მეთოდების გამოყენება უცნობი პირველადი კერის დასადგენად, კლინიკურად გამოვლენილი მეტასტაზების დროს

2.3. ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკის ენდოსკოპიური მეთოდები:

- გასტროინტესტინული ენდოსკოპია, ცისტოსკოპია,
- ტრაქეობრონქოსკოპია, რინოლარინგოსკოპია,
- ლაპაროსკოპია, პლევროსკოპია, ენდოსკოპიის სხვა მეთოდები,
- ბიოფსიის სახეები, მასალის აღება ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური კვლევისათვის.

2.4. დიაგნოსტიკის ლაბორატორული მეთოდები და ონკომარკერები, მათი მნიშვნელობა ონკოპათოლოგიის დიაგნოსტიკაში და დაავადების მართვის პროცესში.

2.5. ავთვისებიან სიმსივნეთა კლინიკური კლასიფიკაცია და კლინიკური ჯგუფები.

3. ლიტერატურის ნუსხა – მოცემულია ქვევით.

4. შესრულებული სამუშაოს მოცულობა და შინაარსი მოცემულია ცხრილში

თეორიული კურსი	პროფესიული უნარჩვენებები (რაოდენობის მითითებით)	დავალება
გამოსახვის მეთოდები. თავის, კისრისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ნეოპლაზმების გამო-სახვის მეთოდები	პაციენტების რენტგენო-გრამების და CT/MRI განხილვა და ინტერპრეტაცია (50)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
გულმკერდის ღრუს სიმსივნეთა გამოსახვის მეთოდები	პაციენტების რენტგენო-გრამების და CT/MRI განხილვა და ინტერპრეტაცია (50)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
მუცლის ღრუს ორგანოთა სიმსივნეების	რენტგენო-გრამების, უსგ-ს და	პრეზენტაციების

გამოსახვის მეთოდები	CT/MRI განხილვა და ინტერპრეტაცია (50)	ანალიზი და ტესტირება
ძვლებისა და რბილი ქსოვიკლების სიმსივნეთა გამოსახვის მეთოდები	პაციენტების რენტგენოგრაფიის, უსგ-ს და CT/MRI განხილვა და ინტერპრეტაცია (50)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
ძუძუს გამოკვლევის მეთოდები	რენტგენოგრაფიის უსგ-ს, და CT/MRI განხილვა და ინტერპრეტაცია (50)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
გამოსახვის მეთოდები კიბოს მეტასტაზების მქონე პაციენტებში უცნობი პირველადი კერის დროს.	რენტგენოგრაფიის, უსგ-ს, CT/MRI და PET/CT გამოსახულებების განხილვა და ინტერპრეტაცია (50)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
ინტერვენციული რადიოლოგიის მეთოდები ონკოლოგიაში	ექო და CT/MRI დამიზნებითი ბიოფსიები, სტენტებისა და კატეტერების გამოყენება მწვავე და ქრონიკული სიმპტომების შემცირებისათვის ონკოპაციენტებში (10)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
ულტრაბგერითი გამოკვლევა კიბოს დიაგნოსტიკაში	ეხოგრაფიის განხილვა და ინტერპრეტაცია (50)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
რადიონუკლიდური გამოკვლევები კიბოს დიაგნოსტიკაში	რადიონუკლიდურ გამოკვლევებზე დასწრება (I-131, ტექნეციუმი და PET/CT კვლევა), დასკვნების ინტერპრეტაცია (30)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება
ენდოსკოპიის როლი ავთვისებიან სიმსივნეთა დიაგნოსტიკაში	ენდოსკოპიურ კვლევებზე დასწრება, მონაცემთა განხილვა, ინტერპრეტაცია (50)	პრეზენტაციების ანალიზი და ტესტირება

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეეძლოს:

- ავთვისებიან სიმსივნეთა ვერიფიკაციის, ენდოსკოპური, კვლევების თეორიული საფუძვლები და მათი მნიშვნელობა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში
- ციტოლოგიური, პათომორფოლოგიური კვლევების საფუძველზე ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის პრინციპები
- თავის, კისრისა და ცენტრალური ნერვული სისტემის სიმსივნეთა გამოსახვის მეთოდები
- გულმკერდის ღრუს სიმსივნეთა გამოსახვის მეთოდები
- მუცლის ღრუს ორგანოთა სიმსივნეების გამოსახვის მეთოდები
- ძვლებისა და რბილი ქსოვიკლების სიმსივნეთა გამოსახვის მეთოდები
- ძუძუს გამოკვლევის მეთოდები
- გამოსახვის მეთოდები კიბოს მეტასტაზების მქონე პაციენტებში უცნობი პირველადი კერის დროს.
- ულტრაბგერითი გამოკვლევის როლი კიბოს დიაგნოსტიკაში.
- ენდოსკოპიის როლი ავთვისებიან სიმსივნეთა დიაგნოსტიკაში.
- დიაგნოსტიკის ლაბორატორული მეთოდები და ონკომარკერები, მათი მნიშვნელობა ონკოპათოლოგიის დიაგნოსტიკაში და დაავადების მართვის პროცესში
- ავთვისებიან სიმსივნეთა კლინიკური კლასიფიკაცია და კლინიკური ჯგუფები

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება

მოდული 1.5.

ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის მეთოდები და ავადმყოფთა მართვის თავისებურებანი. მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის პრინციპები (TNM სტადიის, ვერიფიკაციის, ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის, ასაკისა და ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებით).

1. მოდულის ხანგრძლივობა - 2 თვე

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს ავთვისებიან სიმსივნეთა ქირურგიული, თერაპიული (მედიკამენტური), რადიაციული (სხივური), კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის პრინციპები. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- ონკოლოგიურ დაავადებათა კლასიფიკაცია და დიაგნოზის ფორმულირება ონკოლოგიაში
- მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (TNM (და სხვა კლასიფიკაციები) სტადია, ვერიფიკაცია, ავადმყოფის ასაკი, ზოგადი მდგომარეობა)
- მკურნალობის ტაქტიკის განსზღვრა: მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაიდლაინები/პროტოკოლები და ინდივიდუალური მიდგომა
- მულტიდისციპლინური მიდგომა მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის პროცესში
- მკურნალობაზე პასუხის მონიტორინგი
- რემისიის პერიოდის შეფასება
- ონკოლოგიური ოპერაციების პრინციპები და სახეები
- ქიმიოთერაპიის ზოგადი პრინციპები
- იმუნო- და ჰორმონოთერაპიის ზოგადი პრინციპები
- ავთვისებიან სიმსივნეთა სხივური თერაპიის ძირითადი პრინციპები და მეთოდები
- პალიატიური მკურნალობის პრინციპები

3. ლიტერატურის ნუსხა – მოცემულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასათვისებელი მასალა და შინაარსი:

სიმსივნეების მკურნალობის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, ექიმი ონკოლოგიის ამოცანაა მათი დროული და ადეკვატური მკურნალობის უზრუნველყოფა. დაავადებები, რომელთა მკურნალობაც შედის ონკოლოგიის კომპეტენციაში, პირობითად შეიძლება დაიყოს 4 ჯგუფად:

- ობლიგატური კიბოსწინა დაავადებები;
- კუთილთვისებიანი სიმსივნეები;
- ავთვისებიანი სიმსივნეების კურაბელური ფორმები, რომლებზედაც შესაძლებელია რადიკალური ზემოქმედება;
- ავთვისებიანი სიმსივნეების შორსწასული ფორმები, რომლებიც ექვემდებარებიან პალიატიურ და სიმპტომურ მკურნალობას.

მკურნალობის მეთოდის არჩევისას მრავალი ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დაავადების მიმდინარეობასა და პროგნოზზე. რეზიდენტს უნდა შეეძლოს მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა დაავადების მორფოლოგიური ფორმის, გავრცელების, სტადიის, პაციენტის ასაკისა და სომატური სტატუსის გათვალისწინებით. რეზიდენტმა უნდა იცოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაიდლაინების/პროტოკოლების გამოყენება და, ამავდროულად, ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელობა კლინიკურ პრაქტიკაში. რეზიდენტმა კარგად უნდა გააცნობიეროს მულტიდისციპლინური მიდგომის საჭიროება მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის პროცესში.

- რეზიდენტმა ან მაძიებელმა უნდა აითვისოს აბლასტიკა და ანტიბლასტიკა. რადიკალური, კომბინირებული, გაფართოებული და გაფართოებულ-კომბინირებული ოპერაციების პრინციპები, პალიატიური ოპერაციების, დიაგნოსტიკური ოპერაციების პრინციპები.
 - ქიმიოთერაპიულ საშუალებათა ძირითადი ჯგუფები. ონკოლო-გიაში გამოყენებული პრეპარატები. ქიმიოპრეპარატების ეფექტურობა სხვადასხვა ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაში. სისტემური და რეგიონული ქიმიოთერაპია. ქიმიოთერაპიულ საშუალებათა გვერდითი მოვლენები და შესაძლო გართულებანი, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა. ქიმიოთერაპიის როლი ავთვისებიან სიმსივნეთა კომპლექსურ მკურნალობაში. ავთვისებიან სიმსივნეთა შორსწასულ ფორმათა, რეციდივების და მეტასტაზების ქიმიოთერაპია.
 - ბიოლოგიური პასუხის მოდიფიკატორები მათი ტიპები და მოქმედების მექანიზმები. ინტერფერონები, მადიფერენცირებელი ფაქტორები, ციტოტოქსიური ბიოლოგიური მოქმედების ნივთიერებები, მონოკლონური ანტისხე-ულები, ბისპეციფიური ანტისხეულები. ონკოლოგიაში მათი გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებანი.
 - ჰორმონალამოკიდებული სიმსივნეები, ჰორმონების თერაპიული მოქმედების მექანიზმები. საკვერცხის, სათესლის, თირკმელზედა ჯირკვლის და ჰიპო-ფიზის ფუნქციათა ქირურგიული და სხივური გამოთიშვის თერაპიული მოქმედების მექანიზმები. ორგანიზმის ჰორმონული ბალანსის განსაზღვრის მეთოდები და მისი მნიშვნელობა ჰორმონოთერაპიის მეთოდის არჩევაში.
- სხვადასხვა ჰისტოლოგიური სტრუქტურის მქონე სიმსივნეებისათვის სხივური თერაპიის პრინციპები. სხივური თერაპიის როლი ავთვისებიან სიმსივნეთა კომბინირებულ მკურნალობაში. დასხივების მეთოდების თავისებურებანი. რადიკალური და პალიატიური სხივური თერაპია. ოპერაციის წინა და ოპერაციის შემდგომი სხივური თერაპია. გარეგანი, შიგნითა, დრუსშიდა და ქსოვილებშიდა დასხივება. გარეგანი დასხივების სახეები – სტატიკური და მოძრავი. დასხივების მეთოდის არჩევა სიმსივნის ლოკალიზაციის, ზომის და გამოსხივების ენერჯის მიხედვით. შერწყმული სხივური თერაპია. მაიონიზებული გამოსხივების ბიოლოგიური მოქმედების საფუძვლები
- ბიოლოგიური ეფექტის დამოკიდებულება რადიაციის დოზაზე, გამოსხივების სახესა და ენერჯიაზე, დოზის ძალაზე, დასხივებული ქსოვილების მოცულობაზე და დასხივებულ ორგანოებსა და ქსოვილებში ენერჯის შთანთქმაზე. რეაქციის სახეები. კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანება სხივური თერაპიის დროს. საერთო სხივური რეაქციები. ადგილობრვი და ზოგადი სხივური რეაქციების პროფილაქტიკა. სხივური დაზიანების მკურნალობა. ნორმალური და დაზიანებული ქსოვილების რადიო მგრძობელობა, სიმსივნეთა რადიომგრძობელობა. რადიომგრძობელობის თერაპიული ინტერვალი. წყვეტილი და წყვეტილგავრცობილი დასხივება. მათი გავლენა რადიომგრძობელობის ინტერვალის სიდიდეზე. რადიომგრძ-ნობელობის ინტერვალის გაზრდის შესაძლებლობანი.
- სხივური თერაპიის ჩვენებები და უკუჩვენებანი ონკოლოგიაში. ადგილობრივი და ზოგადი უკუჩვენებები.

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეძლოს: ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობაში ქირურგიული ოპერაციების, ქიმიოთერაპიული, ჰორმონული პრეპარატების, იმუნომოდიფიკატორების და სხივური თერაპიის გამოყენების პრინციპები. მედიკამენტური თერაპიის და სხივური თერაპიის გვერდითი მოვლენების და გართულებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია. მკურნალობის ეფექტურობის განსაზღვრა. უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება ნეოადიუვანტური მკურნალობის და პრე - ან პოსტოპერაციული ქიმიოთერაპიის ან იმუნოთერაპიის და რადიაციული და ქიმიოთერაპიის ერთდროული ან მორიგეობით ჩატარების შესახებ.

მოდულის შეფასების მეთოდები.
 ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

პროფესიული მზადების II წლის მოდულები

ონკოლოგიური ავადმყოფების ამბულატორიული მომსახურება.

1. მოდულის ხანგრძლივობა 1 თვე

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს ავთვისებიან სიმსივნეზე საექვო პაციენტების ამბულატორიული გამოკვლევის და დიაგნოზის დაზუსტების პრინციპები. პირველადი ონკოლოგიური პაციენტის მკურნალობის ტაქტიკის გადაწყვეტა. მეორადი ონკოლოგიური პაციენტების პერიოდული საკონტროლო გამოკვლევა და პროფილაქტიკური და ადიუვანტური მკურნალობის პრინციპები. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- ავთვისებიან სიმსივნეზე საექვო პაციენტების ჩივილები, სიმპტომები და ნიშნები სისტემების, ორგანოების და ლოკალიზაციის მიხედვით.
- სადიაგნოსტიკო და დამაზუსტებელი გამოკვლევები (რენტგენო-ლოგიური, ულტრაბერითი, კტ, მრგ, ენდსკოპიური), ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური კვლევისათვის მასალის აღების ხერხები და მეთოდები.
- ავთვისებიანი სიმსივნის დადგენილი დიაგნოზის და სტადიის მიხედვით მკურნალობის ტაქტიკის გადაწყვეტის პრინციპები.
- საკონტროლო გამოკვლევების ვადები და პერიოდულობა სიმსივნის სტადიის და მკურნალობის ხასიათის მიხედვით.
- სიმსივნის რეციდივის და მეტასტაზების განვითარების დროული დიაგნოსტიკის პრინციპები.
- პროფილაქტიკური და ადიუვანტური მკურნალობის პრინციპები.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასათვისებელი მასალის შინაარსი:

რეზიდენტი ან მაძიებელი 1 თვის განმავლობაში მუშაობს პოლიკლინიკის ყველა კაბინეტში ლოკალური ხელმძღვანელის და კაბინეტის ექიმის მეთვალ-ყურებით (ეხმარება კაბინეტის ექიმს მუშაობაში). მონაწილეობას იღებს ამბულატორიული ავადმყოფის მართვაში მომართვიდან და ამბულატორიული ბარათის გახსნიდან დაწყებული პაციენტის სტაციონარში მოთავსებით და/ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამონაწერის (ფორმა №IV-100/ა) გაცემით (ან გაგზავნით) დამთავრებულ.

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა მაძიებელმა უნდა იცოდეს/შეეძლოს:

ავთვისებიან სიმსივნეზე საექვო პაციენტების ამბულატორიული გამოკვლევის და დიაგნოზის დაზუსტების პრინციპები. პირველადი ონკოლოგიური პაციენტის მკურნალობის ტაქტიკის გადაწყვეტა. მეორადი ონკოლოგიური პაციენტების პერიოდული საკონტროლო გამოკვლევა და პროფილაქტიკური და ადიუვანტური მკურნალობის დანიშვნის პრინციპები.

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება

მოდული 2.2.

ავთვისებიან სიმსივნეთა მედიკამენტური მკურნალობის (ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია) პრინციპები, ჩვენება, უკუჩვენება. ბართულეზები, მათი პრევენცია და მკურნალობა.

1. მოდულის ხანგრძლივობა 4 თვე

2. მოდულის მიზანია რეზიდენტი ან მაძიებელი დახელოვნდეს ავთვისებიან ასიმსივნეთა მედიკამენტურ მკურნალობაში. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

ა. ქიმიო, იმუნო და ტარგეტული თერაპიის თანამედროვე მეთოდები

ქიმიოთერაპიის ზოგადი პრინციპები. ქიმიოთერაპიულ საშუალებათა ძირითადი ჯგუფები. ონკოლოგიაში გამოყენებული პრეპარატები. ქიმიოპრეპარატების ეფექტურობა სხვადასხვა ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაში. სისტემური და რეგონული ქიმიოთერაპია. ქიმიოთერაპიულ საშუალებათა გვერდითი მოვლენები და შესაძლო გართულებანი, მათი

პრიფილაქტიკა და მკურნალობა. ქიმიოთერაპიის როლი ავთვისებიან სიმსივნეთა კომპლექსურ მკურნალობაში. ავთვისებიან სიმსივნეთა შორსწასულ ფორმათა, რეციდივების და მეტასტაზების ქიმიოთერაპია. ბიოლოგიური პასუხის მოდიფიკატორები მათი ტიპები და მოქმედების მექანიზმები. ინტერფერონები, მაღიფერენცირებელი ფაქტორები, ციტოტოქსიური ბიოლოგიური მოქმედების ნივთიერებები, მონოკლონური ანტისხეულები, ბისპეციფიური ანტისხეულები, ტარგეტული პრეპარატების ჯგუფები. ონკოლოგიაში მათი გამოყენების ჩვენება და უკუჩვენება.

ბ. ავთვისებიან სიმსივნეთა ჰორმონოთერაპია

ჰორმონოდამოკიდებული სიმსივნეები, ჰორმონოთერაპიის ზოგადი პრინციპები. ჰორმონების თერაპიული მოქმედების მექანიზმები. საკვერცხის, სათესლის, თირკმელზედა ჯირკვლის და პიპოფიზის ფუნქციათა ქირურგიული და სხივური გამოთიშვის თერაპიული მოქმედების მექანიზმები. ორგანიზმის ჰორმონული ბალანსის განსაზღვრის მეთოდები და მისი მნიშვნელობა ჰორმონოთერაპიის მეთოდის არჩევაში. ჰორმონოთერაპიის ადგილი და როლი სარძევე ჯირკვლის და წინამდებარე ჯირკვლის კიბოს, სისხლბადი ორგანოების და ლიმფური სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაში. სარძევე ჯირკვლის და წინამდებარე ჯირკვლის კიბოს დროს კომპლექსური სქემები ჰორმონოთერაპიის გამოყენებით. სარძევე ჯირკვლის და წინამდებარე ჯირკვლის შორსწასულ ფორმათა, რეციდივებისა და მეტასტაზების ჰორმონოთერაპია.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა.

რეზიდენტი ან მაძიებელმა 6 თვის განმავლობაში მინიმუმ 60 ავადმყოფს (სხვადასხვა სოლიდური სიმსივნეებით) უნდა ჩაუტაროს კურაცია. კლინიკური ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შესასრულოს ყველა მანიპულაცია, რაც საჭირო იქნება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (გადიდებული ლიმფური კვანძის პუნქციური ბიოფსია, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია, ლავიწქვეშა ვენის კათეტერიზაცია, ქიმიოთერაპიული პრეპარატების ტრანსფუზია, პროტექტორების დანიშვნა, გართულებების პრევენცია და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა).

მოდულის შეფასების კრიტერიუმები. მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა/სპეციალისტმა მაძიებელმა უნდა იცოდეს/შეეძლოს: ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობაში ქიმიოთერაპიული, ჰორმონული პრეპარატების და იმუნომოდიფიკატორების პრაქტიკული გამოყენება. სხვადასხვა ავთვისებიანი სიმსივნეების დროს ამ პრეპარატების გამოყენების რეჟიმების, სქემების და მეთოდების შერჩევა. მედიკამენტური თერაპიის გვერდითი მოვლენების და გართულებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია. ონკოლოგის მოვალეობაა ონკოლოგიურ პაციენტებზე ზედამხედველობა და მათი მეთვალყურეობა, რათა დროულად იქნას დადგენილი რეციდივის და მეტასტაზების განვითარება დამატებითი მკურნალობის ჩასატარებლად. ონკოლოგს ქირურგთან (ქირურგ-ონკოლოგთან) და რადიოლოგთან (რადიაციულ ონკოლოგთან) ერთად ან დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება ნეოადიუვანტური მკურნალობის და პრე ან პოსტოპერაციული ქიმიოთერაპიის ან იმუნოთერაპიის და რადიაციული და ქიმიოთერაპიის ერთდროული ან მორიგეობით ჩატარების შესახებ.

მოდულის შეფასების მეთოდები.

ხეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება

მოდული 2.3.

ავთვისებიანი სიმსივნეების სხივური თერაპიის პრინციპები და მეთოდები. სხივური თერაპიის ბართშლებები.

1. მოდულის ხანგრძლივობა 2 თვე

2. მოდულის მიზანია რეზიდენტი ან მაძიებელი დახელოვნდეს ავთვისებიან სიმსივნეთა რადიაციულ მკურნალობაში. რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

ა. სხივური თერაპიის ფიზიკური საფუძვლები: ნივთიერების აგებულება, ბუნებრივი და ხელოვნური რადიოაქტიურობა. რადიაქტიური დაშლის კანონი. მაიონიზებელი რადიაციის სახეები. მათი დახასიათება და თვისებები. მაიონიზებელი სხივების ურთიერ-თქმედება ნივთიერებასთან. დოზიმეტრიის ფიზიკური საფუძვლები. დამუხტული ნაწილაკების და კვანტების რეგისტრაცია. გამოსხივების სხვადასხვა სახეების შედარებითი ბიოლოგიური ეფექტურობა. ექსპოზიციური დოზა, შთანთქმული დოზა, ინტეგრალური შთანთქმული დოზა. მაღალი ენერგიების (კვანტური და კორპუსკულური) განაწილების თავისებურებანი. დოზის გრადიენტი, რადიოაქტივობის ერთეულები.

დოზიმეტრიის ძირითადი სახეები. გამოსხივების ზედაპირული და სიღრმივი დოზა. სიღრმივი დოზების ცხრილი. იზოდოზური მრუდები და მათი გამოყენება.

ბ. მედიცინაში გამოყენებული მაიონიზებული გამოსხივების წყაროები: რენტგენო-თერაპიული აპარატები, თანამედროვე გამადანადგარები, ბეტატრონები და ხაზოვანი ამანქარებლები, რადიოაქტიური იზოტოპები, როგორც გამოსხივების წყაროები (კობალტის, ცეზიუმის, ოქროს, იოდის, ფოსფორის ტალიუმის, პრომედიუმის, რადიუმის, მეზოთორიუმის და სხვა რადიოაქტიური პრეპარატები). მათი ფიზიკური დახასიათება.

გ. ავთვისებიან სიმსივნეთა სხივური თერაპიის ძირითადი პრინციპები და მეთოდები: სხვადასხვა პისტოლოგიური სტრუქტურის მქონე სიმსივნეებისათვის სხივური თერაპიის ოპტიმალური დოზები და მეთოდების თავისებურებანი. ოპერაციის წინა და ოპერაციის შემდგომი სხივური თერაპია. გარეგანი, შიგნითა, ღრუსშიდა და ქსოვილებშიდა დასხივება. გარეგანი დასხივების სახეები – სტატიკური და მოძრავი. დასხივების მეთოდის არჩევა სიმსივნის ლოკალიზაციის, ზომის და გამოსხივების ენერჯის მიხედვით. შერწყმული სხივური თერაპია ღრუსშიდა კიურითერაპიის, ქსოვილშიდა გამა და ბეტათერაპიის ტექნიკური ხერხები.

დ. მაიონიზებული გამოსხივების ბიოლოგიური მოქმედების საფუძვლები: ბიოლო-გიური ეფექტის დამოკიდებულება რადიაციის დოზაზე, გამოსხივების სახესა და ენერჯიაზე, დოზის ძალაზე, დასხივებული ქსოვილების მოცულობაზე და დასხივებულ ორგანოებსა და ქსოვილებში ენერჯის შთანთქმაზე. რეაქციის სახეები. კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანება სხივური თერაპიის დროს. საერთო სხივური რეაქციები. ადგილობრივი და ზოგადი სხივური რეაქციების პროფილაქტიკა. სხივური დაზიანების მკურნალობა. ნორმალური და დაზიანებული ქსოვილების რადიომგრძობელობა, სიმსივნეთა რადიომგრძობელობა. რადიომგრ-ძნობელობის თერაპიული ინტერვალი. წვეტილი და წვეტილგავრცობილი დასხივება. მათი გავლენა რადიომგრძობელობის ინტერვალის სიდიდეზე. რადიომგრ-ძნობელობის ინტერვალის გაზრდის შესაძლებლობანი.

ე. სხივური თერაპიის ჩვენება და უკუჩვენებანი ონკოლოგიაში: ადგილობრივი და ზოგადი უკუჩვენებები. სხივური თერაპიის როლი ავთვისებიან სიმსივნეთა კომბინირებულ მკურნალობაში.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა. რეზიდენტმა ან მაძიებელმა ერთი თვის განმავლობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა მინიმუმ 10 ავადმყოფის სხივური თერაპიის დაგეგმარებაში სხვადასხვა ლოკალიზაციის დროს. თეორიულად აითვისოს და პრაქტიკულად განახორციელოს (ექიმ სხივურ თერაპევტთან ერთად) სხივური თერაპია (მინიმუმ 2 ავადმყოფზე თითოეული მეთოდით) დახურული იზოტოპით, ღია იზოტოპით, ტელეგამათერაპიული აპარატით. აითვისოს მაიონიზებული რადიაციის დოზიმეტრიის პრინციპები, სხივური დაზიანების დიაგნოსტიკის პრინციპები, სხივური თერაპიის ჩვენებები და უკუჩვენებები.

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეეძლოს:

- ა. დახურული იზოტოპების გამოყენების პრინციპები
- ბ. ღია იზოტოპების გამოყენების პრინციპები.
- გ. დისტანციური სხივური თერაპიის პრინციპები.
- დ. მაიონიზებული გამოსხივების დოზიმეტრიის პრინციპები.
- ე. სხივური რეაქციების და დაზიანების დიაგნოსტიკის პრინციპები.
სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებზე სხივური თერაპიის პათოლოგიური რეაქციების გამოვლენა, უშუალო (უახლოესი) და მოგვიანებით რეაქციების და დაზიანების გარჩევა. სხივური დაზიანების თავიდან აცილება და მკურნალობა.
- ვ. სხივური თერაპიის ჩვენებების და უკუჩვენებების განსაზღვრა.

მოდულის შეფასების მეთოდები.
ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება

მოდული 2.4.

ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების (ხოჯკინის დაავადება და ავთვისებიანი ლიმფომა) ეტიოპათოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

- 1. მოდულის ხანგრძლივობა 2 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების (ხოჯკინის დაავადება და ავთვისებიანი ლიმფომა) ეპიდემიოლოგია, დიაგნოსტიკა კლინიკა და მკურნალობის მეთოდები; აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქთერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- ლიმფომაზე საეჭვო პაციენტების გამოკვლევა
- ხოჯკინის დაავადების ეპიდემიოლოგია, ეთიოლოგია, პათოლოგია და კლინიკა.
- დაზიანების ადგილები და გავრცელების გზები.
- ხოჯკინის დაავადების სტადიურობის სისტემა და პროგნოზული ფაქტორები.
- ხოჯკინის დაავადების მკურნალობა სტადიების მიხედვით. რადიაციული მკურნალობა; ქიმიოთერაპია;
- არახოჯკინის ლიმფომის ეპიდემიოლოგია, ეთიოლოგია, პათოლოგია და კლინიკური მიმდინარეობა.
- არახოჯკინის ლიმფომების თანამედროვე კლასიფიკაცია.
- არახოჯკინის ლიმფომების სტადიურობის სისტემა და პროგნოზული ფაქტორები.
- არახოჯკინის ლიმფომების მკურნალობა სტადიების მიხედვით. რადიაციული მკურნალობა. ქიმიოთერაპია.
- ლიმფომებთან დაკავშირებული სინდრომები.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა.

რეზიდენტმა ან მაძიებელმა ერთი თვის განმავლობაში მინიმუმ 20 ლიმფომიან ავადმყოფს უნდა ჩაუტაროს კურაცია. კლინიკური ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შეასრულოს ყველა მანიპულაცია, რაც საჭირო იქნება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (გადიდებული ლიმფური კვანძის პუნქციური ბიოფსია, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია, ლავიწქვეშა ვენის კათეტერიზაცია, ქიმიოთერაპიული პრეპარატების ტრანსფუზია, პროტექტორების დანიშვნა, გართულებების პრევენცია და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა).

შეისწავლოს ამ ლოკალიზაციის სიმსივნეების სხივური მკურნალობის პრინციპები (რადიოლოგიურ განყოფილებაში მინიმუმ 5 პაციენტის დაგეგმარება და სხივური თერაპიის რეჟიმის შერჩევა).

შეისწავლოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები, ქიმიოთერაპიის ძირითადი სქემები, პირველი და მეორე რიგის ქიმიოთერაპიული მკურნალობა (მინიმუმ 10 ავადმყოფების მართვა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ).

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა მაძიებელმა უნდა იცოდეს/შეძლოს ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების (ხოჯკინის დაავადება და ავთვისებიანი ლიმფომა) ეპიდემიოლოგია, დიაგნოსტიკა კლინიკა და მკურნალობის პრინციპები. შეძლოს პაციენტის გასინჯვა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ინტერპრეტაცია, აღნიშნულ ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობაში ქიმიოთერაპიული, ჰორმონული პრეპარატების და იმუნომოდულირების პრაქტიკული გამოყენება. ამ პრეპარატების გამოყენების რეჟიმების, სქემების და მეთოდების შერჩევა. მედიკამენტური თერაპიის გვერდითი მოვლენების და გართულებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია. რადიოლოგ ონკოლოგთან ერთად კომპლექსური (მედიკამენტური და სხივური) თერაპიის დაგეგმვა და ჩატარება. აღნიშნული ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიული მკურნალობა

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება

მოდული 2.5.

იგუნო და მიელოპროლიფერაციული დაავადებების, მწვავე და ძრონიკული ლეიკემიის ეპიდემიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა

1. მოდულის ხანგრძლივობა 2 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს იგუნო და მიელოპროლიფერაციული დაავადებების და მწვავე და ძრონიკული ლეიკემიების ეპიდემიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა. აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები;

ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- **იმუნოპროლიფერაციული დაავადებების (იპდ) კლასიფიკაცია.**
- **იპდ** –ს ეპიდემიოლოგია, ეთიოლოგია, პათოლოგია და კლინიკური მიმდინარეობა.
- **იპდ** –ს დიაგნოზი, სტადიურობის სისტემა და პროგნოზული ფაქტორები.
- **იპდ-ს მართვა:** სხივური თერაპია, ქიმიოთერაპიული რეჟიმები. **მიელოპროლიფერაციული დაავადებების** ეპიდემიოლოგია, ეთიოლოგია, პათოლოგია და კლინიკური მიმდინარეობა.
- მიელოპროლიფერაციული დაავადებების დიფერენციული დიაგნოზი.
- მიელოპროლიფერაციული დაავადებების (პოლიციტემია ვერა, მიელოფიბროზი მიელოიდური მეტაპლაზიით და ესენციური თერომბოციტოპენია) კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.
- **ქრონიკული ლეიკემიების** ეპიდემიოლოგია, ეთიოლოგია და პათოლოგია.
- ქრონიკული ლეიკემიების კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოზი, სტადიურობის სისტემა და პროგნოზული ფაქტორები.
- ქრონიკული ლეიკემიების მკურნალობა.
- **მწვავე ლეიკემიის** ეპიდემიოლოგია, ეთიოლოგია და პათოლოგია
- მწვავე ლეიკემიის კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოზი
- მწვავე ლეიკემიის სტადიურობის სისტემა და პროგნოზული ფაქტორები.
- მწვავე ლეიკემიის მკურნალობა.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა.

რეზიდენტმა ან მაძიებელმა მოდულის განმავლობაში მინიმუმ 20 ავადმყოფს (5 იპდ, 5 მიელოპროლიფერაციული დაავადება, 5 მწვავე ლეიკემია და 5 ქრონიკული ლეიკემია) უნდა ჩაუტაროს კურაცია. კლინიკური ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შეასრულოს ყველა მანიპულაცია, რაც საჭირო იქნება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (გადიდებული ლიმფური კვანძის პუნქციური ბიოფსია, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია, ლაივსკეპმა ვენის კათეტერიზაცია, ქიმიოთერაპიული პრეპარატების ტრანსფუზია, პროტექტორების დანიშვნა, გართულებების პრევენცია და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა). შეისწავლოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები, ქიმიოთერაპიის ძირითადი სქემები, პირველი და მეორე რივის ქიმიოთერაპიული მკურნალობა.

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა/სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეეძლოს:

იმუნო და მიელოპროლიფერაციული დაავადებებისა და მწვავე და ქრონიკული ლეიკემიების ეპიდემიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების (ხოჯკინის დაავადება და ავთვისებიანი ლიმფომა) ეპიდემიოლოგია, დიაგნოსტიკა კლინიკა და მკურნალობის პრინციპები. აღნიშნულ ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობაში ქიმიოთერაპიული, ჰორმონული, ტარგეტული პრეპარატების და იმუნომოდულირების პრაქტიკული გამოყენება. ამ პრეპარატების გამოყენების რეჟიმების, სქემების და მეთოდების შერჩევა. მედიკამენტური თერაპიის გვერდითი მოვლენების და გართულებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია. რადიოლოგ ონკოლოგთან ერთად კომპლექსური (მედიკამენტური და სხივური) თერაპიის დაგეგმვა და ჩატარება.

მოდულის შეფასების მეთოდები.
ხეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

პროფესიული მზადების III წლის მოდულები

მოდული 3.1.

ფილტვის, კლავრის, შუასაყრის და ბულგმარის კედლის ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა

1. მოდულის ხანგრძლივობა - 1 თვე

2. მოდულის მიზანი: რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს გულმკერდის ღრუს ორგანოთა და შუასაყრის სიმსივნეების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, კლინიკა, მკურნალობის და პალიატიური მზრუნველობის მეთოდები;

აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- ა) ფილტვის კიბოს დიაგნოსტიკა, კლინიკა და მკურნალობა
- ბ) ავთვისებიანი მეზოთელიომის დიაგნოსტიკა, კლინიკა და მკურნალობა
- გ) შუასაყრის სიმსივნეების დიაგნოსტიკა, კლინიკა და მკურნალობა (თიმუსის და გულის სიმსივნეები, შუასაყრის იშვიათი სისმისვნეები)
- დ) გულმკერდის ღრუს პირველადი იშვიათი სიმსივნეები
- ე) გულმკერდშიდა მეტასტაზური სიმსივნეები
- ვ) გულმკერდის კედლის სიმსივნეები
- ზ) სხვადასხვა ლოკალიზაციის ათვისებთან სიმსივნეთა გულმკერდისმხრივი გართულებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა მოცემულის ცხრილში:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები (რაოდენობის მითითებით)	დავალება
ფილტვის კიბოს ეპიდემიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა, მკურნალობა	პაციენტის ობსერვაცია (50); ფიზიკალური გამოკვლევა (50) (პერიფერიული ლიმფური კვანძების პალპაცია, პერკუსია, აუსკულტაცია); რენტგენოსკოპია და რენტგენოგრამების ინტერპრეტაცია (50); კომპიუტერული ტომოგრამების გარჩევა (50); დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია (30).	თეორიულ ბლოკში – რეფერატი ან მოხსენება. პროფესიულ უნარ-ჩვევებში – პაციენტის კურაცია, ისტორიის შევსება, მანიპულაციების წარმოება.
პლევრის მეზოთელიომა. ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.	გადიდებული ლიმფური კვანძის პუნქციური ბიოფსია (50); გულმკერდშიდა სიმსივნის ტრანსთორაკული პუნქცია (50); პლევრის პუნქცია (50); პლევრის ღრუს დრენირება (10); დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია (30).	თეორიულ ბლოკში – რეფერატი ან მოხსენება. პროფესიულ უნარ-ჩვევებში – პაციენტის კურაცია, ისტორიის შევსება, მანიპულაციების წარმოება.
ფილტვის სხვა იშვიათი სიმსივნეები. ფილტვების მეტასტაზური სიმსივნეები.	რენტგენოსკოპია და რენტგენო-გრამების ინტერპრეტაცია (50); კომპიუტერული ტომოგრამების და მაგნეტურ რეზონანსული გამოსახვის გარჩევა (50); დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია (30).	თეორიულ ბლოკში – რეფერატი . პროფესიულ უნარ-ჩვევებში – პაციენტების კურაცია.
შუასაყრის სიმსივნეების ეპიდემიოლოგია. თიმომა, შუასაყრის ლიმფომები (ხოჯკინის და	რენტგენოსკოპია და რენტგენო-გრამების ინტერპრეტაცია (50); კომპიუტერული ტომოგრამების და მაგნეტურ რეზონანსული გამოსახვის გარჩევა (50);	თეორიულ ბლოკში – რეფერატი ან მოხსენება. პროფესიულ უნარ-ჩვევებში – პაცი-

არახოჯკინის), ნევრონომა, ტერატოიდული სიმსივნეები.	გულმკერდშიდა სიმსივნის ტრანსტორაკული პუნქციური ბიოფსია (50); დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია (30).	ენტის კურაცია, ისტორიის შევსება, მანიპულაციების წარმოება.
---	---	---

გულმკერდის კედლის ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა.	პაციენტის ფიზიკური გამოკვლევა (50), რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფიის ინტერპრეტაცია (50); კომპი-უტერული ტომოგრაფიის და მაგნე-ტურ-რეზონანსული გამოსახვის გარჩევა (50); გულმკერდის კედლის სიმსივნის ტრანსკუტანეული პუნქციური ბიოფსია (50); დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია (30).	თეორიულ ბლოკში - რეფერატი ან მოხსენება. პროფესიულ უნარ- ჩვევებში – პაცი ენტის კურაცია, ისტორიის შევსება, მანიპულაციების წარმოება .
პარანეოპლაზიური სინდრომები. ავთვისებიან სიმსივნეთა გულმკერდშიდა გართულებების კლინიკა, დიაგნოსტიკა და პრევენცია	პაციენტის ფიზიკური გამოკვლევა - (50); რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფიის ინტერპრეტაცია (50); კომპი-უტერული ტომოგრაფიის და მაგნე-ტურ-რეზონანსული გამოსახვის გარჩევა (50); პლევრის პუნქცია (20). პლევრის დრენირება (10). დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია (30).	თეორიულ ბლოკში – რეფერატი. პროფესიულ უნარ - ჩვევებში – პაციენტის კურაცია, ისტორიის შევსება, მანიპულაციების წარმოება

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეძლოს:

- ფილტვის კიბოს დიაგნოსტიკა, კლინიკა და მკურნალობის პრინციპები.
- ავთვისებიანი მეზოთელიომის კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები.
- შუასაყრის სიმსივნეების (თიმუსის და გულის სიმსივნეები, შუასაყრის იშვიათი სისმისვნეები) კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები.
- გულმკერდის კედლის სიმსივნეების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები.
- გულმკერდის ღრუს პირველადი იშვიათი სიმსივნეების და გულმკერდშიდა მეტასტაზური სიმსივნეების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები.
- სხვადასხვა ლოკალიზაციის ავთვისებიან სიმსივნეთა გულმკერდისმხრივი გართულებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია.

რეზიდენტმა ან მაძიებელმა უნდა შეისწავლოს შემდეგი მანიპულაციების წარმოება:

- დაავადების ანამნეზის შეკრება;
- კლინიკური გასინჯვის ყველა აღიარებული ფიზიკური მეთოდის გამოყენება;
- კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის თანამედროვე საშუალებების მონაცემთა კვალიფიცირებული ინტერპრეტაცია, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციების (იხ. ჩამონათვალი) ფლობა;
- კვლევის მონაცემების ანალიზი, დასკვნის გამოტანა და განზოგადება;
- ნებისმიერი შინაგანი პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა;
- ეტიოლოგიურად და პათოგენეზურად დასაბუთებული მკურნალობის დანიშვნა.

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

მოდული 32.

თავისა და კისრის ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა

1. მოდულის ხანგრძლივობა - 1 თვე

2. მოდულის მიზანი: მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს თავისა და კისრის სიმსივნეთა დიაგნოსტიკა, კლინიკა და მკურნალობის პრინციპები. აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქთერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

ტუჩის კიბოს, პირის ღრუს კიბოს, ენის კიბოს, პირის ღრუს ფსკერის კიბოს, ლოყის ლორწოვანი გარსის კიბოს, ალვეოლური მორჩის კიბოს, სახის კიბოს. სანერწყვე ჯირკვლის კიბოს, ზედა ყბის კიბოს, ქვედა ყბის კიბოს, ცხვირის ღრუს სიმსივნეების, ცხვირის დანამატი ღრუს სიმსივნეების, ცხვირ-ხახის სიმსივნეების, ხახის სიმსივნეების, ხორხის კიბოს, ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების, ფარისებახლო ჯირკვლის სიმსივნეების, კაროტიდული სხეულის სიმსივნეების, კისრის ბრანხიოგენური კიბოს, შუა ყურის კიბოს კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

რეზიდენტმა ან მაძიებელმა ერთი თვის განმავლობაში მინიმუმ 3 ავადმყოფს უნდა ჩაუტაროს შემდეგი მანიპულაციები და ოპერაციები: პირის ღრუს დათვალიერება, ხორხის დათვალიერება სარკეებით, ცხვირის ღრუს დათვალიერება. ნაცხის აღება პირის ღრუდან, ცხვირის ღრუდან და ხორხიდან. პირის ღრუს, ხახის და ხორხის სიმსივნეების პალპაცია. პირის ღრუს, ცხვირის ღრუს, ხახის და ხორხის სიმსივნეების ბიოფსია. დაესწროს მინიმუმ 5 ქირურგიულ ოპერაციას (ტრაქეოტომია, ტრაქეოსტომია, ლარინგექტომია), შეისწავლოს ამ ლოკალიზაციის სიმსივნეების სხივური მკურნალობის პრინციპები (რადიოლოგიურ განყოფილებაში მინიმუმ 5 პაციენტის დაგეგმარება და სხივური თერაპიის რეჟიმის შერჩევა). შეისწავლოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები, ქიმიოთერაპიის ძირითადი სქემები, პირველი და მეორე რივის ქიმიოთერაპიული მკურნალობა (10 ავადმყოფების მართვა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ).

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალბის მაძიებელმა უნდა იცოდეს/შეეძლოს: თავისა და კისრის სიმსივნეთა დიაგნოსტიკა კლინიკა და მკურნალობის პრინციპები. **შემდეგი მანიპულაციების და ოპერაციების წარმოება:** პირის ღრუს დათვალიერება, ხორხის დათვალიერება სარკეებით, ცხვირის ღრუს დათვალიერება. ნაცხის აღება პირის ღრუდან, ცხვირის ღრუდან და ხორხიდან. პირის ღრუს, ხახის და ხორხის სიმსივნეების პალპაცია. პირის ღრუს, ცხვირის ღრუს, ხახის და ხორხის სიმსივნეების ბიოფსია. ტრაქეოსტომიული მილის და ტრაქეოსტომიული ხვრელის მოვლა, ფარინგოსტომის მოვლა, აღნიშნული ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიული მკურნალობა.

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

მოდული 33.

სარძევე ჯირკვლის კიბოს ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა

1. მოდულის ხანგრძლივობა - 2 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს სარძევე ჯირკვლის სიმსივნეთა კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობის მეთოდები; აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქთერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- ა) სარძევე ჯირკვლის კიბოს ეპიდემიოლოგია და ეთიოლოგია,
- ბ) ტუძუს კიბოს რისკ-ფაქტორები,

- გ) ძუძუს კიბოს მორფოლოგიური ტიპები,
- დ) სიმსივნის გავრცელების გზები (ლიმფოგენური და ჰემატოგენური მეტასტაზები),
- ე) კლინიკური მიმდინარეობა, ასოცირებული პარანეოპლაზიური სინდრომები,
- ვ) ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკა, სტადიურობის სისტემა და პროგნოზული ფაქტორები,
- ზ) ძუძუს კიბოს პრევენცია და ადრეული დიაგნოსტიკა,
- თ) ძუძუს კიბოს მკურნალობა სტადიების მიხედვით.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა. რეზიდენტმა ან მაძიებელმა მოდულის განმავლობაში მინიმუმ 10 ავადმყოფს უნდა ჩაუტაროს შემდეგი მანიპულაციები და ოპერაციები: სარძევე ჯირკვლის და რეგიონული ლიმფური კვანძების პალპაცია, ძუძუს სიმსივნის პუნქციური ბიოფსია, ილღის, ლავიწზედა და ლავიწქვეშა ფოსოების გადიდებული ლიმფური კვანძების პუნქციური ბიოფსია. მამოგრამების და ძუძუს ეხოგრამების ინტერპრეტაცია.

დაესწროს მინიმუმ 4 ქირურგიულ ოპერაციას, შეისწავლოს ამ ლოკალიზაციის სიმსივნეების სხივური მკურნალობის პრინციპები (რადიოლოგიურ განყოფილებაში მინიმუმ 5 პაციენტის დაგეგმარება და სხივური თერაპიის რეჟიმის შერჩევა). შეისწავლოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები, ქიმიოთერაპიის ძირითადი სქემები, პირველი და მეორე რიგის ქიმიოთერაპიული მკურნალობა (10 ავადმყოფების მართვა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ).

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა/სპეციალისტმა მაძიებელმა უნდა იცოდეს/შეეძლოს: სარძევე ჯირკვლის სიმსივნეთა კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები.

რეზიდენტმა ან მაძიებელმა უნდა შეისწავლოს შემდეგი მანიპულაციებისა და ოპერაციების წარმოება: სარძევე ჯირკვლის და რეგიონული ლიმფური კვანძების პალპაცია, ძუძუს სიმსივნის პუნქციური ბიოფსია, ილღის, ლავიწზედა და ლავიწქვეშა ფოსოების გადიდებული ლიმფური კვანძების პუნქციური ბიოფსია. მამოგრამების და ძუძუს ეხოგრამების ინტერპრეტაცია. ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ინტერპრეტაცია, აღნიშნული ლოკალიზაციის აუთისებრიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიული მკურნალობა

მოდულის შეფასების მეთოდები.
ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

მოდული 3.4.

საჭმლის მომნელებელ ორგანოთა და რეტროპერიტონული სივრცის ავთვისებიანი სიმსივნეების ეტიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა

1. მოდულის ხანგრძლივობა - 1 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ორგანოთა სიმსივნეების დიაგნოსტიკა, კლინიკა და მკურნალობის მეთოდები. აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- ა) საყლაპავის ნეოპლაზმების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- ბ) კუჭის ნეოპლაზმების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- გ) ღვიძლის, სანაღვლე გზების და ნაღვლის ბუშტის ნეოპლაზმების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- დ) ფატერის ღვრილის და პანკრეასის ნეოპლაზმების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- ე) წვრილი ნაწლავის, ჭიაყელა ნაწლავის და პერიტონეუმის ნეოპლაზმების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- ვ) კოლინჯის და სწორი ნაწლავის სიმსივნეების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- ზ) რეტროპერიტონული სივრცის სიმსივნეების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- თ) პანკრეასის ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა. რეზიდენტი ან მაძიებელი ერთი თვის განმავლობაში უნდა დაესწროს შემდეგ მანიპულაციებსა და ოპერაციებს: პარაცენტეზი, კუჭის დრენირება (ნაზოგასტრული ზონდით), კუჭის გამორეცხვა. პაციენტის გასინჯვა სწორი ნაწლავიდან, რექტოსკოპია ბიოფსიით. ეხოფაგო-გასტრო-

დუოდენოსკოპია (ენდოსკოპისტან ერთად), კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კონტრასტული რენდგენოლოგიური გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და აღნიშნული კვლევების მონაცემთა ინტერპრეტაცია.

დაესწროს მინიმუმ 4 ქირურგიულ ოპერაციას, შეისწავლოს ამ ლოკალიზაციის სიმსივნეების სხივური მკურნალობის პრინციპები (რადიოლოგიურ განყოფილებაში მინიმუმ 5 პაციენტის დაგეგმარება და სხივური თერაპიის რეჟიმის შერჩევა). შეისწავლოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები, ქიმიოთერაპიის ძირითადი სქემები, პირველი და მეორე რიგის ქიმიოთერაპიული მკურნალობა (10 ავადმყოფების მართვა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ).

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეეძლოს: საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სიმსივნეთა დიაგნოსტიკა, კლინიკა და მკურნალობის მეთოდები. რეზიდენტმა ან მაძიებელმა უნდა შეისწავლოს შემდეგი მანიპულაციებისა და ოპერაციების წარმოება: მუცლის პალპაცია, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ინტერპრეტაცია, პაციენტის გასინჯვა სწორი ნაწლავიდან; აღნიშნული ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიული მკურნალობა

მოდულის შეფასების მეთოდები.
ხეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

მოდული 3.5.

ბინეპოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

1. მოდულის ხანგრძლივობა - 1 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს ქალის რეპროდუქტიული ორგანოების ნეოპლაზმების კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა; აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში: ვულვის და საშოს ნეოპლაზმები; საშვილოსნოს ყელის კიბო; საშვილოსნოს ტანის კიბო; ფალოპის მილის ნეოპლაზმები; საკვერცხის კიბო; ორსულთა ტროფობლასტური ნეოპლაზია; გინეკოლოგიური სარკომები.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. **შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა.** რეზიდენტმა ან მაძიებელმა მოდულის განმავლობაში უნდა დაესწროს მინიმუმ 10 ავადმყოფის შემდეგ მანიპულაციებს: ქალის გასინჯვა გინეკოლოგიურ მაგიდაზე, საშოს და საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, კოლპოსკოპია, საშვილოსნოს ყელიდან ნაცხის (პაპ) აღება, საშვილოსნოს ყელიდან ბიოფსიის წარმოება, საშვილოსნოს დრუს გამოფხეკა ბიოფსიის მიზნით, უკანა თადის პუნქცია, სისხლდენის შემთხვევაში ტამპონადა. საშვილოსნოს ყელის წყლულის მოწვა (ელექტროდანით). დაესწროს მინიმუმ 4 ქირურგიულ ოპერაციას, შეისწავლოს ამ ლოკალიზაციის სიმსივნეების სხივური მკურნალობის პრინციპები (რადიოლოგიურ განყოფილებაში მინიმუმ 5 პაციენტის დაგეგმარება და სხივური თერაპიის რეჟიმის შერჩევა). შეისწავლოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები, ქიმიოთერაპიის ძირითადი სქემები, პირველი და მეორე რიგის ქიმიოთერაპიული მკურნალობა (10 ავადმყოფების მართვა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ). **მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეეძლოს:** ქალის რეპროდუქტიული ორგანოების ნეოპლაზმების და კიბოს კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები. რეზიდენტმა ან მაძიებელმა უნდა შეისწავლოს შემდეგი მანიპულაციების წარმოება: პაციენტის გასინჯვა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ინტერპრეტაცია, აღნიშნული ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიული მკურნალობა

მოდულის შეფასების მეთოდები.
ხეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

მოდული 3.6.

თირკმელვის, შარდის ბუშტის, სათესლე ჯირკვლის და სასქესო ასოს ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა

1. მოდულის ხანგრძლივობა - 1 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს შარდსასქესო ტრაქტის სიმსივნეთა დიაგნოსტიკა კლინიკა და მკურნალობის მეთოდები; აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქთერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- ა) თირკმლისუჯრედოვანი კარცინომა (ე.წ. ჰიპერნეფრომა). კლინიკა, დიაგნო-სტიკა მკურნალობა
- ბ) თირკმლის მენჯის და შარდსაწვეთების ნეოპლაზმების კლინიკა, დიაგნო-სტიკა და მკურნალობა
- გ) შარდის ბუშტის კიბოს კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- დ) წინამდებარე ჯირკვლის ნეოპლაზმების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- ე) ასოს კიბოს კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- ვ) სათესლე ჯირკვლის ნეოპლაზმების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა.

რეზიდენტმა ან მაძიებელმა მოდულის განმავლობაში უნდა დაესწროს მინიმუმ 5 ავადმყოფის შემდეგ მანიპულაციებსა და ოპერაციებს: თირკმელების ბიმანუალური პალპაცია. წინამდებარე ჯირკვლის პალპაცია სწორი ნაწლავიდან (რექტული გასინჯვა), ცისტოსკოპია (უროლოგთან ერთად). შარდის ბუშტის კათეტერიზაცია მეტალის და რეზინის კათეტერით, ტროაკარული ეპიცისტოსტომია, ცისტოსკოპია, წინამდებარე ჯირკვლის ბიოფსია. ასოს სიმსივნეიდან ბიოფსიური მასალის აღება ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური კვლევისათვის. შედლოს რენტგენოკონტრასტული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, ექსოკოპიის და ცისტოსკოპიის მონაცემთა ინტერპრეტაცია. დაესწროს მინიმუმ 4 ქირურგიულ ოპერაციას, შეისწავლოს ამ ლოკალიზაციის სიმსივნეების სხივური მკურნალობის პრინციპები (რადიოლოგიურ განყოფილებაში მინიმუმ 5 პაციენტის დაგეგმარება და სხივური თერაპიის რეჟიმის შერჩევა). შეისწავლოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები, ქიმიოთერაპიის ძირითადი სქემები, პირველი და მეორე რიგის ქიმიოთერაპიული მკურნალობა (10 ავადმყოფების მართვა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ).

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეეძლოს: შარდსასქესო ტრაქტის სიმსივნეთა დიაგნოსტიკა კლინიკა და მკურნალობის პრინციპები; აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი ქთერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. რეზიდენტმა ან მაძიებელმა უნდა შეისწავლოს შემდეგი მანიპულაციები: თირკმელების ბიმანუალური პალპაცია. წინამდებარე ჯირკვლის პალპაცია სწორი ნაწლავიდან (რექტული გასინჯვა), შარდის ბუშტის კათეტერიზაცია მეტალის და რეზინის კათეტერით, ასოს სიმსივნეიდან ბიოფსიური მასალის აღება ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური კვლევისათვის.

პაციენტის გასინჯვა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ინტერპრეტაცია, აღნიშნული ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიული მკურნალობა

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

მოდული 3.7.

კანის, კვლევის და რბილი ძროვილების ავთვისებიანი სიმსივნეების და მელანომის ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა

1. მოდულის ხანგრძლივობა - 1 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს კანის, რბილი ქსოვილებისა და ძვლების ნეოპლაზმების და ავთვისებიანი მელანომის კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა; აითვისოს მოცემული ნოზოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები; ძირითადი

ქ/თერაპიული სქემები; პირველი და მეორე ხაზის ქიმიოთერაპია. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

კანის კიბოსწინარე დაავადებები: პიგმენტური ქსეროდერმა, ბოუენის დაავადება, პაპილომატირუსით ინდუცირებული კიბოსწინარე პაპულები, ლეიკოპლაკია, ერითროპლაკია; კერატოზები; აკანტოზის ნივრიკანს; კანის ბაზალურუჯრედოვანი კიბოს კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ბაზალურუჯრედოვანი ნევუს (გორლინის) სინდრომი; კანის ბრტყელუჯრედოვანი კიბოს კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა; კანის შემაერთებელი ქსოვილისაგან განვითარებული სიმსივნეების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა; კანის დანამატების სიმსივნეების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

მელანომის კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა, დისპლასტიური ნევუს სინდრომი, თანდაყოლილი ნევუსები;

ოსტეოგენური სარკომებისა, იუნგის სარკომის, ხონდრობლასტომის, რბილი ქსოვილების სარკომების, სისხლძარღვთა და ლიმფური სადინრების ნეოპლაზმების, პერიფერიული ნერვების ნეოპლაზმების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა.

რეზიდენტმა ან მაძიებელმა მოდულის განმავლობაში მინიმუმ 10 ავადმყოფს უნდა ჩაუტაროს შემდეგი მანიპულაციები და ოპერაციები: რბილი ქსოვილების სიმსივნეების პუნქციური ბიოფსია, კანის დაწყლულებული კიბოდან ნაცხის და ანაბეჭდის აღება ციტოლოგიური კვლევისათვის, კანის სიმსივნიდან ინციზიური ბიოფსიის წარმოება პისტოლოგიური კვლევისათვის. დაესწროს მინიმუმ 4 ქირურგიულ ოპერაციას, შეისწავლოს ამ ლოკალიზაციის სიმსივნეების სხივური მკურნალობის პრინციპები (რადიოლოგიურ განყოფილებაში მინიმუმ 5 პაციენტის დაგეგმარება და სხივური თერაპიის რეჟიმის შერჩევა). შეისწავლოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაიდლაინები, ქიმიოთერაპიის ძირითადი სქემები, პირველი და მეორე რიგის ქიმიოთერაპიული მკურნალობა (10 ავადმყოფების მართვა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ).

მოდულის შეფასების კრიტერიუმები. მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა მაძიებელმა უნდა იცოდეს/შეეძლოს: კანის, რბილი ქსოვილებისა და ძვლების ნეოპლაზმების და ავთვისებიანი მელანომის კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები.

რეზიდენტმა ან მაძიებელმა უნდა შეისწავლოს შემდეგი ოპერაციების და მანიპულაციების წარმოება: რბილი ქსოვილების სიმსივნეების პუნქციური ბიოფსია, მცირე ზომის სიმსივნეების ამოკვეთა; კანის დაწყლულებული კიბოდან ნაცხის და ანაბეჭდის აღება ციტოლოგიური კვლევისათვის, პაციენტის გასინჯვა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ინტერპრეტაცია, აღნიშნული ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიული მკურნალობა

მოდულის შეფასების მეთოდები.

ხეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

მოდული 3.8.

ბავშვთა პირითადი ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე პრინციპები.

1. მოდულის ხანგრძლივობა - 2 თვე

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს ბავშვთა ასაკის ავთვისებიანი სიმსივნეთა ქირურგიული, თერაპიული (მედიკამენტური), რადიაციული (სხივური), კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის პრინციპები. მოდულის ამოცანაა რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

1. ბავშვთა ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მიმდინარეობის თავისებურებანი, არსებული პრობლემები და მიღწეული შედეგები
2. ავთვისებიანი ლიმფომები
3. შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები
4. ძვლებისა და რბილი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები
5. ნერვული სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეები

3. ლიტერატურის ნუსხა – მოცემულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასათვისებელი მასალა და შინაარსი:

- რეზიდენტმა ან მაძიებელმა უნდა აითვისოს ბავშვთა ონკოპათოლოგიის მართვის თავისებურებანი: რადიკალური, კომბინირებული, გაფართოებული და გაფართოებულ-კომბინირებული ოპერაციების პრინციპები, პალიატიური ოპერაციების, დიაგნოსტიკური ოპერაციების პრინციპები.
- ქიმიოთერაპიულ საშუალებათა ძირითადი ჯგუფები. ონკოლოგიაში ბავშვთა ასაკისათვის გამოყენებული პრეპარატები. ქიმიოპრეპარატების ეფექტურობა სხვადასხვა ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაში, სისტემური და რეგიონული ქიმიოთერაპია. ქიმიოთერაპიულ საშუალებათა გვერდითი მოვლენები და შესაძლო გართულებანი, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა. ქიმიოთერაპიის როლი ავთვისებიან სიმსივნეთა კომპლექსურ მკურნალობაში. ავთვისებიან სიმსივნეთა შორსწასულ ფორმათა, რეციდივების და მეტასტაზების ქიმიოთერაპია.
- ბიოლოგიური პასუხის მოდიფიკატორები მათი ტიპები და მოქმედების მექანიზმები. ინტერფერონები, მადიფერენცირებელი ფაქტორები, ციტოტოქსიური ბიოლოგიური მოქმედების ნივთიერებები, მონოკლონური ანტისხეულები, ბისპეციფიური ანტისხეულები. ონკოლოგიაში მათი გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებანი.
- ჰორმონდამოკიდებული სიმსივნეები, ჰორმონების თერაპიული მოქმედების მექანიზმები. საკვერცხის, სათესლის, თირკმელზედა ჯირკვლის და ჰიპო-ფიზის ფუნქციათა ქირურგიული და სხივური გამოთიშვის თერაპიული მოქმედების მექანიზმები. ორგანიზმის ჰორმონული ბალანსის განსაზღვრის მეთოდები და მისი მნიშვნელობა ჰორმონოთერაპიის მეთოდის არჩევაში.
- სხვადასხვა პისტოლოგიური სტრუქტურის მქონე სიმსივნეებისათვის სხივური თერაპიის ოპტიმალური დოზები ბავშვთა ასაკში. დასხივების მეთოდების თავისებურებანი. რადიკალური და პალიატიური სხივური თერაპია. ოპერაციის წინა და ოპერაციის შემდგომი სხივური თერაპია. გარეგანი, შიგნითა, ღრუსშიდა და ქსოვილებშიდა დასხივება. გარეგანი დასხივების სახეები – სტატიკური და მოძრავი. დასხივების მეთოდის არჩევა სიმსივნის ლოკალიზაციის, ზომის და გამოსხივების ენერჯის მიხედვით. შერწყმული სხივური თერაპია. ღრუსშიდა კიურითერაპიის, ქსოვილ-შიდა გამა და ბეტათერაპიის ტექნიკური ხერხები. სხივური თერაპიის როლი ავთვისებიან სიმსივნეთა კომბინირებულ მკურნალობაში.

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეძლოს: ბავშვთა ასაკის ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობაში ქირურგიული ოპერაციების, ქიმიოთერაპიული, ჰორმონული პრეპარატების, იმუნომოდიფიკატორების და სხივური თერაპიის გამოყენების პრინციპები. მედიკამენტური თერაპიის და სხივური თერაპიის გვერდითი მოვლენების და გართულებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია. მკურნალობის ეფექტურობის განსაზღვრა. უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება ნეოადიუვანტური მკურნალობის და პრე - ან პოსტოპერაციული ქიმიოთერაპიის ან იმუნოთერაპიის და რადიაციული და ქიმიოთერაპიის ერთდროული ან მორიგეობით ჩატარების შესახებ.

მოდულის შეფასების მეთოდები.
ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

მოდული 3.9.

ონკოინჟინერია ავადმყოფის მოვლა-პატრონობა და სიმპტომური მკურნალობა (პალიატიური მზრუნველობა).

1. მოდულის ხანგრძლივობა 1 თვე.

2. მოდულის მიზანია რეზიდენტმა ან მაძიებელმა აითვისოს ინკურაბელურ პაციენტებზე პალიატიური მზრუნველობის და სიმტომური დახმარების პრინციპები. რეზიდენტმა ან მაძიებელმა აიმაღლოს თეორიული ცოდნა, დახელოვნდეს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგ საკითხებში:

- ა) პალიატიური მზრუნველობის არსი და მიზანი;
- ბ) პალიტიური მზრუნველობის ძირითადი პრინციპები;

- გ) ინკურაბელურ პაციენტთა კატეგორიები და საერთო სიმპტომები;
- დ) ტერმინალური მდგომარეობების სიმპტომები და მათი მართვა;
- ე) ქრონიკული ტკივილის სინდრომი და მისი მართვა;
- ვ) სხვა მნიშვნელოვანი სიმპტომების მართვა;
- ზ) ინკურაბელურ პაციენტთა მართვის სულიერი და ფსიქოსოციალური ასპექტები.

სიმპტომების კონტროლი

რეზიდენტმა და მაძიებელმა უნდა იცოდეს, რომ სიმპტომი შესაძლოა:

- 1. გამოწვეული იყოს ძირითადი ონკოლოგიური დაავადებით,
- 2. დაკავშირებული იყოს სიმსივნური დაავადების გართულებასთან,
- 3. წარმოადგენდეს მკურნალობის გართულებას ან გვერდით ეფექტს,
- 4. ასოცირდებოდეს პაციენტის ზოგად დაუძლურებასა და სისუსტესთან
- 5. ან გამოწვეული იყოს თანმხლები დაავადებებით.

რეზიდენტს ან მაძიებელს უნდა შეეძლოს თითოეული სიმპტომის სათანადოდ მართვის პრინციპის ჩამოყალიბება;

იცოდეს პალიატიური ქირურგიის, რადიო, ქიმიო, ჰორმონო და სხვა თერაპიის როლი პალიატიურ მზრუნველობაში.

ანგარიშგასაწევი სპეციფიკური სიმპტომები:

ტკივილი, პირის ღრუს წყლულები და ინფექცია (კანდიდოზური), ანორექსია, კახექსია, გულის რევა და პირღებინება, ყაბზობა, ფაღარათი (დიარეა), ნაწლავთა გაუვალობა, დისფაგია, ქავილი, ნაწოლების განვითარება, სიყვითლე, ქოშინი, ხველა, სუნთქვის უკმარისობა, სლოკინი, წუხილი და შიში, დეპრესია, დელირიუმი და დემენცია, სისუსტე და ლეტარგიური მდგომარეობა, სექსუალური, სფეროს პრობლემები, შარდის ბუშტისა და რექტული სპაზმი, შარდისა და განავლის შეუკავებლობა, ყნოსვის მოშლა, ლიმფური შეშუპება (ლიმფოსტაზი).

3. ლიტერატურის ნუსხა – მითითებულია ქვევით.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა.

რეზიდენტმა ან მაძიებელმა ერთი თვის განმავლობაში მინიმუმ 20 ავადმყოფს უნდა ჩაუტაროს შემდეგი მანიპულაციები და ოპერაციები: ვენის კათეტერიზაცია და დაფიქსირება, პლევრის პუნქცია, პარაცენტეზი შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ნაზოგასტრული ზონდირება, სიმპტომის კონტროლისთვის გამოყენებულ სხვადასხვა პრეპარატთა სარგებლობისა და რისკის შეფასება, რათა მოხდეს დანიშნული პრეპარატის შეცვლა პაციენტის მდგომარეობის გაუარესებისას. ნაწოლის პროფილაქტიკა და მოვლა, სხვადასხვა სახის სტომის მოვლა,

მოდულის დასრულების შემდეგ რეზიდენტმა ან სპეციალისტმა უნდა იცოდეს/შეძლოს:

ნაწოლის პროფილაქტიკა და მოვლა, სხვადასხვა სახის სტომის მოვლა, ანალგეზიური საშუალებების კლასიფიკაცია, სხვადასხვა ოპიოიდური პრეპარატების ეკვივალენტური დოზები, სიმპტომების კონტროლის მიზნით გამოყენებული პრეპარატების დანიშნის თავისებურებანი, დოზირება, გვერდითი მოვლენების ამოცნობა, ინტრავენური ინფუზიის ჩვენებები, ინტრავენური ინფუზიის დროს გამოყენებული პრეპარატების შეთავსებადობა, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია და დაფიქსირება, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და ნაზოგასტრული ზონდირება, სიმპტომის კონტროლისთვის გამოყენებულ სხვადასხვა პრეპარატთა სარგებლობისა და რისკის შეფასება, რათა მოხდეს დანიშნული პრეპარატის შეცვლა პაციენტის მდგომარეობის გაუარესებისას. დაავადებისა და მკურნალობის თაობაზე ოჯახის წევრების განსხვავებულ აღქმათა და იმედების შეფასება, გენიოლოგიური ხის (გენოგრამა) შედგენა და მისი გამოყენება, ოჯახის წევრებთან განმარტებითი მუშაობა, მათზე ზემოქმედების მნიშვნელობა. უნდა იცოდეს თუ რა გზით შეიძლება გამოხატოს ექიმმა პაციენტის მიმართ პატივისცემა, მათ შორის: პრიორიტეტებისა და მიზნების შეთანხმება პაციენტსა და მის ახლობლებთან; მკურნალობის არჩეული მეთოდების განხილვა პაციენტთან ერთად და მზრუნველობის ერთობლივი გეგმის შემუშავება; მკურნალობის თაობაზე პაციენტის ინფორმირება (კითხვებზე პასუხის გაცემა);

მკურნალობის დამთავრების თაობაზე პაციენტის სურვილის პატივისცემა; პალიატიურ მზრუნველობაში როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პირთა წვლილის სათანადოდ დააფასება

მოდულის შეფასების მეთოდები.

ზეპირი შეფასება. პრეზენტაციის შეფასება.

აუცილებელი და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა.

1. Physicians' Cancer Chemotherapy Drug Manual, 2013
2. DeVita, Hellman, and Rosenberg's Cancer: Principles and Practice of Oncology, 9th Edition, 2011.
3. Handbook of Cancer Chemotherapy (Lippincott Williams & Wilkins Handbook Series), by Roland T. Skeel and Samir N. Khlif, 2011.
4. Harrison's Hematology and Oncology, 2010
5. Harrison's Manual of Oncology, 2008
6. Abeloff's Clinical Oncology, 2008
7. Davidson: Medecine Interne, 2005
8. TNM classification of Malignant Tumors. ed. L. H. Sobin, Ch. Wittekind. Sixth Edition. – Wiley Liss, New-York, 2009
9. AJCC Cancer staging manual, sixth edition. ed. F. H. Greene, D. L. Page, I. D. Fleming et al. – New York, Berlin ..., 2002.
10. რ.ღვამიჩავა, მ.შავდია ონკოლოგია, თბილისი, 2010
11. ოფიციალური მითებები, დებულებები, მეთოდური რეკომენდაციები, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ალგორითმები ონკოლოგიაში, რედაქტორი რ.გაგუა, თბილისი, 2005
12. ონკოლოგიურ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია, ICD-O 3, 2013
13. თ.ზუზბაია ბაჭყალიძე კირიტიანი ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე პრინციპები, თბილისი, 2002

ინტერნეტ რესურსები:

1. <http://www.esmo.org>
2. <http://www.nccn.org>
3. <http://www.asco.org>
4. <http://www.ecco.org>
5. <http://www.cancer.org>
6. <http://www.bccancer.bc.ca>
7. www.cancercare.on.ca
8. <http://www.iarc.fr>
9. <http://www.uicc.org>
10. www.who.int
11. www.cbhd.org
12. <http://bioethicsweb.ac.uk/>
13. <http://www.unesco.org/ibc/>
14. www.unesco.org/shs/bioethics

